CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

50 თეთრი
გამოდის:
ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

N58(3374) 26 მაისი 2016 წ
ფასი 50 თეთრი
ორშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## ვინ და რატომ დაბლოკა 26 მაისის საქმის გამოძიება?

ზაზა ხატიაშვილი: „ვიცით, ვინ ურტყამდა, ბორკილებს ვინ ადებდა, ვინ კლავდა, ცოცხალი მოწმეები აგერ არიან“

7



როგორ აპირებენ 26 მაისს დაზარალებულები დამნაშავეთა დასჯას?

3

## არაპროფესიონალ მძღოლებს „ტაქსაობა“ აეკრძალებათ



8

## რის გამო ახდენენ ამერიკელები ზეწოლას ივანიშვილზე და რა ხდება „ოცნების“ კულუარებში?



6

## რით და როგორ დაისჯება ხელისუფლება, თუკი კორცხელის ინციდენტში მონაწილე მოჭიდავეებს არ დააკავებენ?

რას განმარტავს ლევან ბერძენიშვილი „ალიასთან“



9

## ზურაბ ჯორბენაძე: „ბიძინა ივანიშვილს რომ ჰგონია, ირაკლი შოთაძე მის თამაშს თამაშობს, არ არის ეს ასე, რეალურად, ძირს უთხრის მას და მის მთავრობას“

რა ხდება პრკურატურის კულუარებში?



11

## მამუკა ტუსკაძე: „უჩა ნანუაშვილი მხოლოდ სექტანტების ინტერესების დამცველია, რადგან ის მორმონების სექტის წევრია“

რას აცხადებენ ომბუდსმენის ოფისში




13

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აუ, წადით რა, პოლიტიკიდან, ბატონო გოგი!



ხურჩაში, საოკუპაციო ხაზთან მომხდარ მკვლელობაზე „მრეწველების" ლიდერი გოგი თოფაძე აცხადებს, რომ საკითხის პოლიტიზება არ შეიძლება.

– ეს მოხდება ხოლმე, შეიძლება შეტაკება თუ მოხდა. მანდ რაღაც, მგონი, კომერციული ინტერესები იყო, ასე უბრალოდ არ ყოფილა. რა მნიშვნელობა აქვს. ნახეთ, რა მდგომარეობაა მეზობლებთან – აზერბაიჯანი, სომხეთი – ჩვენ გვაქვს ჩვენი პრეტენზიები. ეს ერთეული შემთხვევები არ უნდა ჩავთვალოთ, რომ სისტემატურია. რამდენი ხანია, იქ არაფერი მომხდარა? მე მიმაჩნია, ასეთი ლანძღვა-გინება რუსეთის, რასაც ძალიან ბევრი პოლიტიკოსი და პარტია აკეთებს, გამიზნულად ალიზიანებენ, არ არის სწორი. ჩვენ უნდა ვეძებოთ რაღაც კომპრომისი. თუ ჩვენ რამე შერბილება, ან თუნდაც ტერიტორიების დაბრუნებაზე შეიძლება ვიოცნებოთ, არა ომით, არა გაღიზიანებით, მაგრამ ესეც დასავლეთიდან ნაკარნახევია, რომ რაც შეიძლება დაიძაბოს ჩვენი ურთიერთობა. გავიხსენოთ სხვა შემთხვევები, როცა ქართველებმა ოსი დაჩაგრეს, გადავიდნენ იქით. ხდება ხოლმე, იქ საძოვარია, ეს ერთი შემთხვევა არ უნდა იყოს პოლიტიზებული. ყველგან ხდება ასეთი რამე. ასეთი რაღაცები მოხდება, დაძაბული სიტუაციაა, ჩვენ გვაქვს პრეტენზიები, რომ აფხაზეთი ჩვენია, იქიდან სხვა რაღაცა მოდის. ურთიერთობის გამწვავებასაც ხელს უწყობენ მთელი რიგი მრჩევლები და უცხოელები. არ უნდა მოხდეს ასე. ჩემი აზრია და ჩემი თანაგუნდელების, ვეძებოთ რუსეთთან არა რუსოფილობა, არამედ რაღაც მოგვარება. ჩვენი წინაპრები გავიხსენოთ, რაღაცას ეფერებოდნენ, ყოველ შემთხვევაში დალაგებული იყო. მეორე თემაა -მართლმადიდებელი ქვეყანაა რუსეთი. ჩვენ ნახეთ, რა წრეში ვართ? ალბათ, ესეც უნდა გავითვალისწინოთ. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არ უნდა გვიკარნახონ ევროპელებმა. ამის პოლიტიზება არ შეიძლება. მოხდა ფაქტი, ძალიან სამწუხაროა, იმ ოჯახს ალბათ, პატივი უნდა ვცეთ, რაღაც გავაკეთოთ, ერთი კაცი მოკვდა, კი, ქართველია, ძალიან საწყენია, მაგრამ ამ დონეზე ატანა, აყვანა არ მგონია დღეს საჭირო იყოს, — აღნიშნა გოგი თოფაძემ.

მისივე თქმით, ახლოს რომ იყოს ნამდვილად მიუსამძიმრებდა მის ოჯახს, „მაგრამ ასეთი ექსცესები სულ ხდებოდა". (timer.ge)

**● ეგ ჩვენი „მართლმადიდებელი ძმა", გოგი ბატონო, გამუდმებით თავში გვირტყამს. თუმცა თავში რტყმა იქით იყოს, დაუნდობლად მიწასთან გვასწორებს, გვკლავს, ტერიტორიებს გვართმევს, ვეღარ გაძღა ქართველების სისხლით, ჩვენ კი რევერანსები ვუკეთოთ? არავითარ შემთხვევაში! იმ არაკაცმა, რომელმაც ოთხოზორია მოკლა, მთელ საქართველოს ესროლა — მეც, თქვენც, ჩვენს შვილებს — ჩემს შვილებსაც, თქვენს შვილებსაც, თუმცა რადგან რეალურად არ მოგვხვდა ტყვია, ეტყობა, ამიტომ საუბრობთ ასე იოლად, არა?!**

**დასავლეთსაც ჯანდაბამდე გზა ჰქონია, რომელიც სულ გვატყუებს, მაგრამ ჯანდაბის იქით იყოს რუსეთი, რომელიც გიმეორებთ — ვერ გაძღა ქართველების სისხლით, ვერ ამოივსო გაუმაძღარი და აყროლებული სტომაქი, თქვენ კი ამბობთ, საკითხის პოლიტიზება არ უნდა მოხდესო. პოლიტიზება კი არა, განგაშის ზარები უნდა შემოვკრათ და თავზე დავაქციოთ პუტინს ყველაფერი!!!**

**აუ, წადით რა, პოლიტიკიდან, ბატონო გოგი!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ირაკლი კობახიძე: „ნაცმოძრაობის" ბოიკოტი, კორცხელში დაწყებული პროვოკაციის გაგრძელებაა



„ქართული ოცნების" აღმასრულებელი მდივნის შეფასებით, „ნაციონალური მოძრაობის" ბოიკოტი პარლამენტისთვის, კორცხელში დაწყებული პროვოკაციის გაგრძელებაა.

– ეს იყო ძალიან მძიმე, ბინძური პროვოკაცია. ეს ახასიათებს „ნაციონალურ მოძრაობას", ეს არის მათი ხელწერა. სწორედ ამ პროვოკაციის გაგრძელებაა ის ბოიკოტი, რომელზეც ისინი საუბრობენ. მათ კიდევ ერთხელ ამოძრავებთ ის მიზანი, რაზეც ჩვენ ვსაუბრობდით. ეს არის დიპლომატიური კორპუსისათვის მცდარი წარმოდგენის შექმნა იმის თაობაზე, თითქოს პოლიტიკურ პროცესებში დესტაბილიზაციას აქვს ადგილი. ეს მათ ნამდვილად არ გამოუვათ. კიდევ ერთი მომენტია გასათვალისწინებელი. „ნაციონალურ მოძრაობას" ჰქონდა გარკვეული ინიციატივები. მათ ჰქონდათ იმედი, რომ 76 ხმას მოაგროვებდნენ ამისათვის. განსაკუთრებით ყურადღებას გავამახვილებ ე.წ. გერმანულ საარჩევნო მოდელზე. ისინი ხედავენ, რომ არანაირი რესურსი ამ 76 ხმის მოგროვების არ აქვთ და შესაბამისად, ბუნებრივია, ეძებდნენ საბაბს იმისთვის, რომ თავი ემართლებინათ ამ ყველაფრისათვის. ბოიკოტი ამისთვის იყო მათთვის კარგი საშუალება, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

შეგახსენებთ, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ" საპარლამენტო საქმიანობას ბოიკოტი გამოუცხადა და დეპუტატები პარლამენტში აღარ ივლიან. (ipress.ge)

## რას ეწევა ასეთს ეს უკრაინაში, იცის ვინმემ?!



– 2012 წლის შემდეგ „ნაციონალურმა მოძრაობამ" დაასრულა დამარცხებების სერია, - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც ოდესაში, თავის რეზიდენციაში „ნაციონალური მოძრაობის" წევრებს უმასპინძლა.

– ოდესაში, გუბერნატორის რეზიდენციაში, ვუმასპინძლე „ნაციონალური მოძრაობის" საპარლამენტო სიის კანდიდატების ძალიან საინტერესო ჯგუფს. ასევე, მეწვია ნასაკირალის არჩევნებში გამარჯვებული ბესო ქათამაძე. პირველად, 2012 წლის შემდეგ „ნაციონალურმა მოძრაობამ" დაასრულა დამარცხებების სერია და ხელახლა დაიწყო გამარჯვებები. ბესოს გადავეცი სამახსოვრო საათი, რომლითაც უნდა ათვალოს დრო 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ უმრავლესობის მოპოვებამდე. საღამოს კი, ყველა წავედით ბესოს გენიალური მოგვარის კონცერტზე. ბესომ კონცერტის შემდეგ, განუმეორებელ ნინო ქათამაძესთან ფოტოც გადაიღო, - ამ შინაარსის სტატუსს აქვეყნებს სოციალურ ქსელში მიხეილ სააკაშვილი. (ipress.ge)

**● 8 ოქტომბერს „ნაციონალური მოძრაობა" საბოლოოდ დასამარდება და მიწაც მიეყრება, მანამდე კი შეუძლიათ აბრახუნონ ასეთი სისულელეები. აი, რასაც ბესო ქათამაძე დაითვლის, მოუყვეს მერე გარშემომყოფებს — „მე მომკლეს, ბაბუ"...**

## გოკა გაბაშვილს ის პოლიცია ენატრება, ხალხს რომ ქუჩაში ხვრეტდა

– ჩვენი ამოცანა არ არის, რომ ვითამაშოთ ინსტიტუტობანა, როცა ინსტიტუტები, მათ შორის, პარლამენტი, ჩამოშლილია, - ამის შესახებ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა გოკა გაბაშვილმა განაცხადა.

– პრაქტიკულად, არც ერთი ინსტიტუტი არ მუშაობს. ჩვენ ვხედავთ, რომ პოლიცია ივანიშვილის მძევალი გახდა და ფაქტობრივად, ძალადობის თანაორგანიზატორი, პასიური დამკვირვებელი და ზოგ შემთხვევაში, შეშინებული. პროკურატურა მონურ მდგომარეობაშია და ასრულებს ივანიშვილის დავალებებს. ასეთივე მონურ მდგომარეობაში არიან მინისტრები, პრემიერ-მინისტრი და საპარლამენტო უმრავლესობაც. ასეთ ვითარებაში ჩვენი ამოცანა არ არის, რომ ვითამაშოთ ინსტიტუტობანა, როცა ინსტიტუტები ჩამოშლილია. მათ შორის, ჩამოშლილია პარლამენტი. შესაბამისად, ჩვენ ვაცხადებთ ბოიკოტს, ვიდრე დამნაშავეები და ორგანიზატორ-დამკვეთები არ იქნებიან დასჯილები. ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ ამ ძალადობით ვერაფერს გახდება. 8 ოქტომბერს არის არჩევნები და მასზე დადგება ზუსტად ის შედეგი, რაც დადგა გურიასა და სამეგრელოში, ნასაკირალსა და კორცხელში. დარჩა 4 თვე და ერთადერთი, რაც მათ შეუძლიათ, არის მშვიდობიანად გადააბარონ ხელისუფლება, რადგან ეს არის გაკოტრებული პოლიტიკური ძალა ყველა თავისი ინსტიტუტით, - განაცხადა გოკა გაბაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გიგა ოთხოზორიას მკვლელი დაკავებულია



გიგა ოთხოზორიას მკვლელობაში ბრალდებული რაშიდ კანჯიოღლი დაკავებულია. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილმა „კვირასთან" საუბრისას ინფორმაცია ნაწილობრივ დაადასტურა. მინისტრის განცხადებით, ოთხოზორიას მკვლელობაში ბრალდებულის დაკავების შესახებ მასაც აცნობეს.

– ჩვენ ვიცით, რომ ეს პირი დაკავებულია, მაგრამ მე ადგილზე არ ვყოფილვარ. რამდენად ასპროცენტიანია ეს ცნობა, ამის პირობას ვერ დავდებ. აფხაზეთის ტერიტორიაზეა დაკავებული, ბრალი ედება წინასწარ განზრახულ მკვლელობაში. ეს ინფორმაცია სანდრო წყაროდან მაქვს, — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

29 წლის რაშიდ კანჯიოღლი რუსეთის მოქალაქე, ოკუპირებული ტყვარჩელის მკვიდრია.

– გიგა ოთხოზორიას მკვლელობაში ბრალდებული რაშიდ კანჯიოღლი აფხაზეთის ტერიტორიის დატვებას ანრი დუხინის სახელით ცდილობდა, - ამის შესახებ ექსპერტმა მამუკა არეშიძემ განუცხადა.

მისი თქმით, აღნიშნული ინფორმაცია მას სანდო წყაროდან ჰქონდა, თუმცა, ექსპერტის ვარაუდით, კანჯიოღლიმ რუსეთის ტერიტორიაზე გადასვლა ვერ მოახერხა და მისი აყვანა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხდა.

– მაღალი ალბათობით, სინამდვილეს შეეფერება გავრცელებული ინფორმაცია კანჯიოღლის დაკავების შესახებ, რადგან აფხაზური მედიიდანაც კარგად ჩანს, რომ ავტორიტეტული აფხაზები ძალიან გაღიზიანებული არიან მომხდარი მკვლელობის გამო და აფხაზური მხარე მკვლელს არც ერთ შემთხვევაში ხელს არ დააფარებდა, — აცხადებს მამუკა არეშიძე.

როგორც ექსპერტმა აღნიშნა, ოთხოზორიას მკვლელობაში ბრალდებული დიდი ალბათობით რუსეთის მოქალაქეა, რადგან აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის 70 პროცენტს რუსეთის მოქალაქეობა აქვს, მაგრამ საყურადღებოა ის მომენტი, რომ რაშიდ კანჯიოღლი გათურქებული ლაზია. (kvira.ge)

**● წესით და კანონით, ეს ცივსისხლიანი არამზადა საქართველოს უნდა გადმოეცეს, რაც სამწუხაროდ, ალბათ, არ მოხდება. თუმცა მთავარი მაინც ის არის, მკვლელი უმკაცრესად დაისაჯოს.**

**იმედია, გონიერი აფხაზები უმრავლესობაში არიან და შეძლებენ კანჯიოღლის პასუხი საკადრისად აგებინონ.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვასილ მაღლაფერიძე: ახლა ბოკერიას, მელიას, „ნაცმოძრაობის" სხვა ზონდერების ჯერია!



მცხეთა-მთიანეთის ყოფილი ყოფილი გუბერნატორი ვასილ მაღლაფერიძე კორცხელში მომხდარ დაპირისპირებასთან დაკავშირებით სპორტსმენების შს სამინისტროში მისვლას აფასებს და სოციალურ ქსელში წერს, რომ დაკითხვაზე „ნაციონალური მოძრაობის" წევრებიც უნდა გამოცხადდენ.

– კორცხელის ინციდენტში მონაწილეთა ერთი ნაწილი თავისი ფეხით მივიდა შინაგან საქმეთა სამინისტროში და გამოძიებასთან თანამშრომლობის მზადყოფნას გამოთქვამს. ცხადია, ისინი უნდა დაისაჯონ დანაშაულის ხარისხისა და კანონის შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება, რომ ორი აზრი არსებობდეს.

ახლა ბოკერიას, მელიას, „ნაცმოძრაობის" სხვა ლიდერებისა და ზონდერების ჯერია, რომ თავადაც გამოცხადდნენ პოლიციაში და მოყვნენ მათ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული უამრავი მასობრივი ცემისა და ფიზიკური ანგარიშსწორების შესახებ. წესით, ისინიც უნდა დაისაჯონ დანაშაულის ხარისხისა და კანონის შესაბამისად. არც ამასთან დაკავშირებით შეიძლება, რომ ორი აზრი არსებობდეს.

საზოგადოებამ აქტიურად უნდა მოითხოვოს, რომ მეორე მხარემაც მოყვეს, როგორ იგეგმებოდა არც თუ შორეულ წარსულში ეს ყველაფერი. მათ ბევრი რამ იციან ისეთი, რასთან შედარებითაც კორცხელი ზღვაში წვეთია, - აღნიშნავს მაღლაფერიძე. (რეპორტიორი)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



**რატომ არ ახდენს ხელისუფლება 26 მაისის ამბავზე სათანადო სამართლებრივ რეაგირებას? რატომ არ ასრულებს ბიძინა ივანიშვილი ხალხისთვის მიცემულ პირობას, რომ აუცილებლად მოხდებოდა 26 მაისის გამოძიება და დამნაშავეების სათანადო დასჯა?**

**„ალიას“ დიმიტრი ლორთქიფანიძე ესაუბრა:**

**— თუ გაქვთ ინფორმაცია იმ პიროვნებების შესახებ, ვინც 26 მაისის ღამეს მონაწილეობდნენ ადამიანების დარბევაში და დღესაც დაუსჯელები**

ხელისუფლების მიმართ „ქართული ოცნების“ დეპუტაციისგან, არც იმ წევრებისგან, რომლებიც დღეს ძალიან აქტიურად პოზიციონირებენ. არადა, მათ ავიწყდებათ, რომ საქართველოს პარლამენტის წევრი, პირველ რიგში, არის მაკონტროლებელი ორგანოს წარმომადგენელი, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, გააკონტროლოს აღმასრულებელი ხელისუფლება, რომ ძალთა შორის ბალანსი მუდმივად იქნას დაცული. „ქართული ოცნების“ არც ერთ დეპუტატს არც ერთხელ არ მიუმართავს საქართველოს პროკურატურისთვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, მოეკითხა, მაგალითად, როგორ მიმდინარეობს გამოძიება წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე. მიუხედავად იმისა, რომ სამართლიანი სამართლებრივი გარემოს აღდგენა იყო „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი დაპირება, არც ერთი ჩვენი პოლიტპატიმრის მიმართ მარეაბილიტირებელი სამართლებრივი პროცედურები არამცთუ დამთავრებული, დაწყებულიც კი არ არის წინასწარი გამოძიების დონეზე. მოსამართლეებმა, რომლებმაც საქართველოს სახელით გამოიტანეს უკანონო და დაუსაბუთებელი, პოლიტიკურად მოტივირებული განაჩენები – არც ერთ ამ და სხვა კომპონენტში არავითარი პოლიტიკური რეაგირება საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის მხრიდან არასდროს არ ყოფილა. და ახლა, რატომღაც გაახსენდათ, რომ მათ გვერდით სხედან 26 მაისის მთავარი შემოქმედნი, ჯალათები, რომლებმაც ორგანიზება გაუკეთეს, მორალური და პოლიტიკური მხარდაჭერა გამოუცხადეს იმდროინდელ რეჟიმს, რომელმაც ასეულობით ადამიანი იმსხვერპლა რუსთაველის გამზირზე.

**— რატომ არ გაახსენდათ, როგორ ფიქრობთ?**

– იმიტომ, რომ ქვეყანაში დამკვიდრდეს მართვადი ქაოსი, რათა „ქართულმა ოცნებამ“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შემდგომშიც გააგრძელონ არჩევანი-არადანის პრინციპით ხელისუფლების განაწილება იმგვარად, რომ შემთხვევით მესამე პოლიტიკური ძალა არ შემოეპაროთ შუაში და არ აღუდგეს მათ პოლიტიკურ გარიგებას, რომლის გამოვლინებას ჩვენ ვხედავთ კორცხელში, სხვა დროს ვხედავდით კარალეთში, ხურვალეთში და უფრო შორს თუ გავიხსენებთ – ბოლნისში. ეს ერთი და იგივე სცენარით მიმდინარეობს, თუ აკვირდებით: „მოქალაქეთა კავშირიდან“ „ნაციონალურ მოძრაობაზე“, „ნაციონალური მოძრაობიდან“ „ქართულ ოცნებაზე“ და ახლა „ოცნება“ ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გადააბაროს ხელისუფლება „ნაციონალურ მოძრაობას“, რისი შემგუებლური პირველი ნიშნებიც სწორედ ბოლოს ჩატარებულ არჩევნებზე გამოიკვეთა გურიისა და სამეგრელოს რეგიონში. ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როცა ჩვენი ოკუპირებული ზონის ადმინისტრაციული საზღვარი აფხაზეთში არის აბსოლუტურად გაუკონტროლებელი, დაუცველი და რუსულ საოკუპაციო ფორმაში გამოწყობილი აფხაზი თავისუფლად გადმოდის ადმინისტრაციულ საზღვარზე, განსაკუთრებული ცინიზმითა და სადიზმით კლავს საქართველოს მოქალაქეს და უკან აუღელვებლად გადადის იმაში დარწმუნებული, რომ ის არ დაისჯება. აი, ამ დონეზე მივედით ჩვენ და საქართველო დაემსგავსა ლობე-ყორემონგრეულ, უპატრონოდ მიტოვებულ სახლ-კარს, სადაც, მაპატიეთ ალეგორიული გამოთქმისთვის, ღორები გადარბიან და გადმორბიან! ეს არის რეალურად ქვეყნის დესუვერენიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯი.

**— სრულიად გეთანხმებით პათოსში. მინდა ისევ 26 მაისის თემას მივუბრუნდე: 26 მაისს მომხდარი ტრაგედია იყო ის, რის გამოც ბიძინა ივანიშვილმა, მისივე თქმით, პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტა. რატომ არ არის**

ერთ მთავარ მიზეზად სწორედ 26 მაისის ტრაგიკული მოვლენები დაასახელა და ბუნებრივია, ამან საზოგადოებას ძალიან მყარი იმედები გაუჩინა, რომ არა მხოლოდ 26 მაისის, არამედ სრულიად სამართლიანი სამართლებრივი გარემოს აღდგენის საკითხში მოცემული პირობა შესრულდებოდა. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს დაპირება დაპირებად დარჩებოდა. ის ფაქტი, რომ 200 პოლიტპატიმრის საქმეების უკან მდგარი არც ერთი მოსამართლე არ დასჯილა, არ არის დაბრუნებული წართმეული ქონება, რაზეც დასავლეთი სდუმს.

# როგორ აპირებენ 26 მაისს დაზარალებული დამნაშავეთა დასჯას?



**არიან — ვინ არიან ისინი? ხელისუფლება ამაზე არაფერს ამბობს და ფაქტობრივად, მხოლოდ ვანო მერაბიშვილი ჩასვეს ამის გამო ციხეში.**

– მოდით, ასე გეტყვით: მოგეხსენებათ, გუშინ პარლამენტში მოხდა ინციდენტი, როდესაც დეპუტატი ზაზა პაპუაშვილი შემოვიდა წინადადებით, 26 მაისს დაღუპულთა ხსოვნისთვის წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ფეხზე არ წამოდგნენ. ამის გამო „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა დეპუტატმა მათ მიმართა, – მკვლელები ფეხზე არ დგებიანო და ამ ყველაფერს მოჰყვა შემდგომში ფიზიკური დაპირისპირება. მე, უბრალოდ, მინდა მივმართო „ქართული ოცნების“ დეპუტაციას, უმრავლესობას: როდემდე უნდა მართონ მათ ეს ბალმასკარადები და როდემდე უნდა განახორციელონ საქართველოს მოსახლეობის ერთი ნაწილის გულის საფხანი ქმედებები? რატომ აქამდე, ამ ოთხი წლის განმავლობაში, არ გახსენებიათ, რომ მათ გვერდით მკვლელები სხედან? მე არც ერთხელ არ მომისმენია კრიტიკა საკუთარი აღმასრულებელი

**ივანიშვილის მხრიდან იმის ნება, რომ გამოიძიონ ეს ყველაფერი და ხალხის ცემასა და მკვლელობაში უშუალო მონაწილეები სათანადოდ დაისაჯონ?**

– იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, ჯონ ბასმა, 26 მაისს მწვანე შუქი აუნთო სააკაშვილის ხელისუფლებას იმისთვის, რომ მათ ემოქმედათ ყველაზე უფრო რადიკალური მეთოდებით და ეს საქართველოს მოსახლეობას ძალიან კარგად ახსოვს, როდესაც მან საუბარი დაიწყო წითელ ხაზებზე. როგორც აღმოჩნდა, აღნიშნულ სპეცოპერაციას შინაგან საქმეთა სამინისტროში, ასევე, აკვირდებოდნენ მაშინ ამერიკის შეერთებული შტატების ძალოვნები. ბუნებრივია, ის, რაზეც, ზოგადად, დასავლეთი თვალს ხუჭავს, მავნე კოჰაბიტაციის ფარგლებში, რომელიც დასავლეთის პირდაპირი დაკვეთა იყო ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიმართ – ყოველთვის იქნება დაუსჯელი და არასდროს მოხდება ამ საკითხების სრულყოფილი გამოძიება. თქვენ ზუსტად აღნიშნეთ – ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა აქტიურ პოლიტიკაში მისი ჩაბმის ერთ-

შესაბამისად, დუმს „ქართული ოცნებაც“ და ჩვენი ქვეყნის არაფორმალური მმართველი ბატონი ბიძინა ივანიშვილიც, რადგან ეს არ ჯდება დასავლეთის გეგმებში.

**— თქვენ თავად თუ მოძებნეთ რაიმე ბერკეტი, რომლითაც სამართლებრივ პასუხს მოსთხოვთ, დასჯით 26 მაისის დარბევის ორგანიზატორებს და მონაწილეებს?**

– ჩვენი ბერკეტი არის მზაობა იმისთვის, რომ ჩვენ მოვიდეთ ხელისუფლებაში, რომ აღვასრულოთ ბიძინა ივანიშვილის მიერ თავის დროზე მიცემული და შეუსრულებელი პირობა – ქვეყანაში სამართლიანი სამართლებრივი გარემოს შექმნა. ბუნებრივია, დამნაშავეები სათანადოდ დაიჯებიან და ეს მხოლოდ რაღაც ლეგიტიმური რეპრესიის ფორმას არ გულისხმობს, ეს გულისხმობს ჩვენი ქვეყნის ძირითადი ინსტიტუტების სრულიად სამართლებრივ რეფორმირებას, რათა მსგავსი რამ არ განმეორდეს და ამ მიმართულებით, ვფიქრობ, პირველ რიგში, მართლმსაჯულებისა და პროკურატურის სისტემა არის რეფორმირებადი.

## მსოფლიოს სავალუტო სისტემას ჩინეთი ანგრევს



მილიარდერი ინვესტორი ჯორჯ სოროსი დარწმუნებულია, რომ ჩინეთის ქმედებები, რომლებიც ბრაზილიისა და აზიის ზოგიერთი ქვეყნის მხარდაჭერისკენაა მიმართული, ვალუტის თავისუფალ ბრუნვას ხელს შეუშლის.

სოროსის აზრით, სავალუტო ომის შეჩერება მხოლოდ სესხებზე სპეციალურ ნებართვის შემოღებას შეუძლია. სპეციალური წესი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემოღებული სარეზერვო და საგადასახადო საშუალებაა.

– ფაქტია, რომ სავალუტო ომი უკვე გამოცხადდა. ამჟამად მსოფლიოში ორი სავალუტო სისტემა მოქმედებს - საერთაშორისო და ჩინური.

ჩინეთი ცდილობს, უპირატესობის მიღწევას კაპიტალის გადინების დახურვის ხარჯზე. ჩინეთის გარდა ამ შესაძლებლობას იყენებს ბრაზილია, ასევე, კორეა და აზიის სხვა სახელმწიფოებიც. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდება და კაპიტალის თავისუფალი ბრუნვა შეწყდება, შედეგად ყველა ქვეყანა დაზარალდება. ეს იქნება უკან გადადგმული ნაბიჯი, - განაცხადა ჯორჯ სოროსმა. (gurianews.com)

## ლარი მცირედით გამყარდა



ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში მცირედით გამყარდა. კერძოდ, 26 მაისისთვის 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,1473 ლარი გახდება. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2,1474 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0,0001 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გამყარდა. კერძოდ, დღეს 1 ევროს შეძენა 2,3925 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა აქამდე მოქმედი კურსი 2,4014 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0,0089 ლარი შეადგინა. (bpn.ge)

## როგორ შეიცვალა საქართველოში საარსებო მინიმუმი 2004 წლიდან დღემდე



საქართველოში საარსებო მინიმუმის მაჩვენებლის დინამიკა 2004 წლიდან 2016 წლის ჩათვლით, ზრდით ხასიათდება. 2016 წლის აპრილის მონაცემები მნიშვნელოვნად აღემატება 2004 წლის ამავე თვის მაჩვენებელს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, მიმდინარე წლის აპრილში საარსებო მინიმუმმა 161,2 ლარი შეადგინა, რაც მცირედით ნაკლებია წინა 3 თვესთან შედარებით.

საქსტატის მონაცემებით, თუ 2016 წლის იანვარში საარსებო მინიმუმმა 164,2 ლარი შეადგინა, თებერვალში - 163,2 ლარი. მარტში კი 161,6 ლარი იყო.

რაც შეეხება წინა წლების აპრილის თვის მაჩვენებლებს, საარსებო მინიმუმის მაჩვენებლის დინამიკა ზრდით ხასიათდება.

საქსტატის ინფორმაციით, 2004 წელს აპრილში საარსებო მინიმუმი 80,2 ლარს შეადგენდა, 2005 წლის აპრილში - 95,3 ლარს, 2006 წელს - 98,2 ლარი, 2007 წელს - 121,0 ლარი, 2008 წელს - 125,9 ლარი, 2009 წელს - 129,7 ლარი, 2010 წელს - 127,4 ლარი, 2011 წელს - 163,2 ლარი, 2012 წელს - 154,1 ლარი, 2013 წელს - 147,4 ლარი, 2014 წელს - 155,6 ლარი, 2015 წელს - 160,5 ლარი ხოლო 2016 წელს - 161,2 ლარი შეადგინა. (bpn.ge)

აქ თქვენი რეკლამის ადგილია
577 44 44 42

ეკონომიკა... ბიზნესი... ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...

## სადაზღვევო ბაზარზე შესაძლო კარტელური შეთანხმების საკითხით კონკურენციის სააგენტო დაინტერესდა




სადაზღვევო ბაზარზე შესაძლო კარტელური შეთანხმების საკითხით კონკურენციის სააგენტო დაინტერესდა. როგორც აღმოჩნდა, დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურისთვის სადაზღვევო ბაზარზე კომპანიებს შორის კარტელური შეთანხმების ფაქტების შესახებ ცნობილია. „დაზღვევის შესახებ" კანონპროექტის საკომიტეტო განხილვისას დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის ხელმძღვანელმა ზურაბ ტყემალაძემ დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელს მიუთითა, რომ არსებობს დამადასტურებელი ფაქტები, რომ ადგილი აქვს სადაზღვევო კომპანიებს შორის კარტელურ შეთანხმებას და თუ ასე გაგრძელდება, ტყემალაძე კონკურენციის სააგენტოსთვის მიმართვას აპირებს.

– კარტელურ შეთანხმებასაც აქვს ადგილი. მაქვს დამადასტურებელი ფაქტებიც. თუ ასე გაგრძელდება, მე გაძლევთ პირობას, რომ საქმეს გადავცემთ კონკურენციის სააგენტოს, - განაცხადა ზურაბ ტყემალაძემ.

სადაზღვევო ბაზარზე შესაძლო კარტელური გარიგების შესახებ საქმის კურსშია დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურიც. როგორც დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ეკა წერეთელმა განაცხადა, საკითხს დეტალური შესწავლა სჭირდება.

– სამსახური მზად არის ნებისმიერი ამ პროცესის შესწავლისთვის; ბუნებრივია, კონკურენციის სააგენტოსთან ერთად. სამსახურისთვის ცნობილია ეს თემა. მანამდეც იყო ამ საკითხზე საუბარი და რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ ამ მიმართულებით მუშაობას. ალბათ, სერვისებთან დაკავშირებით ან ბაზარზე ოპერირებასთან დაკავშირებით იყო შეთანხმებები. ამ საკითხს ესაჭიროება ღრმა შესწავლა და მეტი კონკრეტიკა, - აცხადებს ეკა წერეთელი. (businesscontact.ge)

## მოსახლეობის 47 პროცენტი ფიქრობს, რომ მედიკამენტების ფასი ძალიან გაიზარდა



„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ" 2016 წლის 16-28 მარტს მთელი ქვეყნის მასშტაბით საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ჩაატარა. გამოკითხვაში, რომელიც „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა" განახორციელა, მონაწილეობა მთელი ქვეყნის მასშტაბით 2032 ადამიანმა მიიღო.

წამლების მოხმარებასთან დაკავშირებით, კვლევის ყველაზე მნიშვნელოვანი მიგნებები შემდეგია:

მოსახლეობის 47 პროცენტი ფიქრობს, რომ იმ მედიკამენტების ფასები, რისი ყიდვაც ყველაზე ხშირად უწევთ ბოლო 12 თვის განმავლობაში, ძალიან გაიზარდა, 35 პროცენტის აზრით - ცოტათი გაიზარდა, 9 პროცენტის აზრით - არ შეცვლილა, ხოლო 2 პროცენტის აზრით - ცოტათი შემცირდა.

2014 წლის 1-ელი სექტემბრიდან რეცეპტით შესაძენი წამლების არეალის გაფართოებას მოსახლეობის 51 პროცენტი უარყოფითად აფასებს, რაც 2015 წელთან შედარებით 2 პროცენტული პუნქტით მცირდება, 9 პროცენტი - დადებითად, რაც 2015 წელთან შედარებით ასევე 2 პროცენტული პუნქტით მცირდება. 39 პროცენტის აზრით, მათზე და მათ ოჯახზე რეცეპტით შესაძენი წამლების არეალის გაფართოებას არანაირი გავლენა არ მოუხდენია, რაც 2015 წელთან შედარებით 5 პროცენტული პუნქტით იზრდება. (businesscontact.ge)

## ზაზა პაპუაშვილი: „თუ ვერ მოვძებნეთ 50 ქალი სიაში შესაყვანად, კაცებს რა ვუთხრათ?!“



– თუ ვერ მოვძებნეთ ეს 50 ქალი რა უნდა ვქნათ? ან იმ გამორჩეულ პროფესიონალ მამაკაცებს რა ვუყოთ, - განაცხადა დეპუტატმა ზაზა პაპუაშვილმა.

პაპუაშვლი არ მიიჩნევს სწორად ქალთა და მამაკაცთა რიცხობრივ თანაფარდობას პარლამენტსა და ადგილობრივ თვითმმართველობებში. ის აცხადებს, რომ კანონპროექტი დისკრიმინაციულია.

– იმედი მაქვს, ქალთმოძულეობას არ დამაბრალებთ. არ მესმის, როდის იჩაგრებოდა ქალბატონი, რატომ გინდათ, რომ ეს ვაქციოთ ნორმად რომ 50 ქალი და 50 კაცი იყოს?! ეს ცოტა დისკრიმინაციულია.

რა ვუთხრა იმ პროფესიონალ მამაკაცებს? რატომ ვერ გსვამთ სიაში, რომ ქალები არ არიან? რისკენ მოვუწოდოთ, რომ დაემსგავსონ ქალებს?! - განაცხდაა ზაზა პაპუაშვილმა.

ცნობისთვის, პარლამენტში პირველი მოსმენით ქალთა კვოტირების შესახებ კანონპროექტს განიხილავენ. ინიციატორები დეპუტატი ნანა ყეინიშვილი და თეიმურაზ ჭკუასელი არიან.

კანონპროექტი ითვალისწინებს წარმოდგენილი ცვლილებებით საქართველოს პარლამენტში, აგრეთვე, მუნიციპალიტეტებში გენდერული ბალანსის დაცვის უზრუნველყოფას. საარჩევნო სიებში ყოველ მომდევნო სამ კანდიდატს შორის ერთი მაინც წარმოდგენილი უნდა იყოს განსახვავებული სქესის კანდიდატი. (ipress.ge)

## სტუდენტური თვითმმართველობის ოთახი „აუდიტორია 115“-ის წევრებმა ძალით დაიკავეს




თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის ოთახი „აუდიტორია 115“-ის წევრებმა ძალით დაიკავეს. „აუდიტორია 115“-ის წარმომადგენლები დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში ცდილობდნენ ძალის გამოყენებით შეჭრილიყვნენ თვითმმართველობის აუდიტორიაში.

მიუხედავად დაცვის სამსახურის წიმაალმდეგობისა, „აუდიტორია 115“-ის წევრებმა თვითმმართველობის ოთახში შესვლა მაინც მოახერხეს. როგორც „აუდიტორია 115“-ის ერთ-ერთმა წევრმა გიორგი არობელიძემ განაცხადა, ისინი ყველანაირ ძალადობას ემიჯნებიან და დებენ პირობას, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობა საქმიანობას ველარ გააგრძელებს.

განათლების სამინისტრო, თსუ-ში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ყველა დაინტერესებულ მხარეს შეხვედრას სთავაზობს.

– დამკვიდრებული სამუშაო ფორმატიდან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის სტუდენტების მხრიდან ულტიმატუმის ენით საუბარი მიუღებელია. ყველა დაინტერესებულ მხარეს კვლავ ვთავაზობთ დაუბრუნდნენ სამუშაო რეჟიმს. სამინისტრო მზად არის სამუშაო პროცესის გასაგრძელებლად და 27 მაისს 10:00 საათზე ყველა დაინტერესებულ მხარეს ღია ფორმატის საერთო შეხვედრას სთავაზობს, სადაც შეჯერდება დღემდე მიღწეული შედეგები და მომდევნო ნაბიჯები განისაზღვრება, - ნათქვამია განათლების სამინისტროს განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## თამაზ მეჭიაური მიესალმება, თუ ომარ ნიშნიანიძე „ქართულ ოცნებას“ დატოვებს



პარლამენტარი თამაზ მეჭიაური მიესალმება, თუ მისი კოლეგა ომარ ნიშნიანიძე „ქართულ ოცნებას“ დატოვებს და პოლიტიკურ მოღვაწეობას მასთან ერთად განაგრძობს.

როგორც მეჭიაურმა კოლეგის გეგმების შეფასებისას განაცხადა, მას ომარ ნიშნიანიძესთან გასაყოფი არაფერი აქვს.

– ომარ ნიშნიანიძესთან გასაყოფი არაფერი მაქვს. ის ზღვების საკითხშია და მე ხმელეთზე ვარ. ომარი მეგობარი კაცია და იდეურადაც საკმაოდ ახლოს არის, თუ მას ასეთი სურვილი ექნება, დიდი სიამოვნებით. საერთოდ, ყველა თემაზე ყველასთან ვსაუბრობ ფრაქციის შიგნით, მაგრამ ამ ეტაპზე ეს თემა არ გაგვივლია, თუმცა მივესალმები მის ასეთ გადაწყვეტილებას, — განაცხადა მეჭიაურმა.

მისივე თქმით, რა სახელწოდება ექნება პარტიას, დაახლოებიოთ ორ კვირაში გახდება ცნობილი.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ომარ ნიშნიანიძე არ გამორიცხავს, რომ „ქართული ოცნება“ დატოვოს. შესაბამისი განცხადება ნიშნიანიძემ ჟურნალისტებთან საუბარში გააკეთა და განმარტა, რომ შესაძლოა, თამაზ მეჭიაურის გუნდში ვიხილოთ. (kvira.ge)

# ორსართულიანი მატარებლის შესყიდვის ხელშეკრულება გაფორმდა



**StadlerBussnang AG**-ის დამფუძნებელმა, გენერალურმა დირექტორმა პიტერ შპულერმა და „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა მამუკა ბახტაძემ ორსართულიანი მატარებლების შესყიდვის ხელშეკრულებას 25 მაისს ხელი მოაწერეს.

ზაფხულის სეზონისთვის ს/ს „საქართველოს რკინიგზა“ მგზავრებს განსაკუთრებულ სიურპრიზს უმზადებს.

როგორც უკვე ცნობილია, ორსართულიანი ევროპული სტანდარტის **Stadler Kiss** მოდელის მატარებელი მგზავრებს ივლისიდან მოემსახურება.

შვეიცარიული კომპანია **Stadler Bussnang AG**-ის ელექტრომატარებელი მგზავრთა კომფორტულ გადაყვანას შავი ზღვის მიმართულებით განახორციელებს.

ოთხი ახალი მატარებელი აღჭურვილია ულტრათანამედროვე ტიპის უსაფრთხოების სისტემებით, რომლებიც ყველა სტანდარტის მოთხოვნებთან არის შესაბამისობაში.

მატარებლის ტექნიკური მონაცემები სრულად შეესაბამება „საქართველოს რკინიგზის“ მოთხოვნებს. ამასთანავე, სრულად



აკმაყოფილებს საქართველოს რკინიგზის მოქმედ გაბარიტებს.

ლიანდაგის სიგანე, რომელზეც მატარებელია გათვლილი, 1520 მმ-ია. ელექტრომატარებლის სიგრძე 101,7 მეტრია, ხოლო სიგანე 3400 მმ, ახალი ელექტრომატარებლის სიმაღლე 5240 მილიმეტრს შეადგენს. მატარებელი 400 მგზავრზეა გათვლილი.

ტექნიკური მოთხოვნების შესამუშავებლად „საქართველოს რკინიგზამ“ **Deutsche Bahn**-ის ექსპერტების მომსახურებით ისარგებლა. ტექნიკურ პარამეტრებზე, გერმანელ სპეციალისტებთან ერთად, ქართული მხარეც მუშაობდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ **Stadler Kiss** მოდელის მატარებელი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებაზეა მორგებული. მათთვის მატარებელში არის ლიფტები და სველი წერტილები. გარდა ამისა, საპირფარეშოში ჩვილ ბავშვთა მოვლისთვის საჭირო სპეციალური მაგიდაა განთავსებული.

**Stadler Kiss** მოდელის მატარებელი – ს/ს „საქართველოს რკინიგზის“ განვითარების ახალი ეტაპია, მომსახურების განვითარების სფეროში წინ გადადგმული ნაბიჯი. პერსონალი, რომელიც მგზავრებს ამ მატარებელზე მოემსახურება, სპეციალური გადამზადების კურსებს სხვადასხვა ქვეყნებში უკვე გადის.

ახალი მატარებელი საქართველოში 17 ივლისს შემოვა და ტექნიკური რეგლამენტის გავლის შემდეგ, თბილისიდან ბათუმის მიმართულებაზე დადგება. ელექტრომატარებელი თბილისიდან შავი ზღვის მიმართულებით შეჩერების გარეშე იმოძრავებს და მხოლოდ ზღვისპირა კურორტების სადგურებში – ბათუმში, ქობულეთსა და ურეკში გაჩერდება.

**Stadler Kiss** მოდელის მატარებელი ევროპის ყველაზე მაღალი სტანდარტების მოთხოვნებს აკმაყოფილებს. აღნიშნული მოდელის მატარებელი შვეიცარიაში, ბელგიაში, გერმანიაში, ავსტრიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში კურსირებს.





გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

საქართველოს პარლამენტში დიდი „ბარდაგია“. არც აქამდე იყო დალაგებული სიტუაცია, მაგრამ ბოლო ორი თვეა, ვინ საით გარბის და ვინ რას აკეთებს, უკვე გაუგებარია. 25 მაისს უმცირესობა-უმრავლესობის შეხლა-შემოხლის საბაბი კვლავ სოფელი კორცხელი გახდა, სადაც „ოცნების“ „ნაციონალმა“ კანდიდატმა წააგო და „ნაცლიდერებმა“ კიდევ რამდენიმე სთან“, „ნაციონალები“ ეგრევე გავარდნენ საელჩოებში, რათა შეატყობინონ „ევროპის სახალხო პარტიას“ და თავიანთ მამებს: „ახლა ყველგან დარბიან და იძახიან, არიქა, გაგვლახეს, გვირტყეს, დაგვწყვიტეს... ისინიც გამოუცხობენ განცხადებებს, რომ საქართველოში დემოკრატია საფრთხეშია. აი, ასე გვასწავლიან ჭკუას დასავლელები, აღმოსავლელები, ჩრდილოელები და სამხრეთელები, ჩვენ არ ვართ ჩვენი თავის პატრონები, ყოველ წუთს ალტერნატივა. აი, აქ უკვე დგება საკითხი ასე: ჩვენ მხარს ვუჭერთ ივანიშვილს, მაგრამ არა მმართველ პარტიას, რომელიც სრულად კონტროლდება ამერიკელების მიერ და იქ შეჰყავთ როგორც „დავარცხნილი“ „ნაციონალები“, ასევე ისეთი ძალები, რომლებიც არ ფიქრობენ დამნაშავეების დასჯასა და რევანშზე“.

თამაზ მეჭიაურმა უკვე ღიად განაცხადა, რომ „ქართულ ოცნებას“ „დავარცხნილი“ „ნაციონალები“ და მათი მომხრეები ეპაოლუციას: „მე არ მინდა, „ქართული ოცნება“ დავუტოვო კოღუაშვილებს. შეიძლება ჩვენ საქმე გვაქვს უფრო დიდ უბედურებასთან, ვიდრე გვგონია. საკუთარი თვალით ვნახე, ბიძინა ივანიშვილს ამაზე უარყოფითი რეაქცია ჰქონდა. რაღაც მოლოდინი კიდევ გვაქვს, რომ დაგველაპარაკებიან, ასე გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა არ შეიძლება, ამას სჯობს, პირდაპირ თქვა და დაამთავრო. არ მინდა, განაწყენებული წავიდე, არც არაფერი მეწყინება, ოღონდ, კა-

# რის გამო ახდენენ ამერიკელები ზეწოლას ივანიშვილზე და რა ხდება „ოცნების“ კულუარებში?



ალიყური აიკრეს. თემა უკვე პოლიტიკურ და არაკაცურ ჭრილში გადავიდა, ზაზა პაპუაშვილმა იქით წაუკითხა ლექცია სააკაშვილის მოწაფეებს, ნუგზარ წიკლაურმა აქეთ გამოლანძღა ბიძინა ივანიშვილის მოწაფეები. საბოლოო ჯამში, საქმე „გამიშვი-დამიჭი“-მდე მივიდა და ბიჭებმა (ზურაბ ზვიადაური, ოთარ ჩრდილელი, ტარიელ ლონდარიძე, ომარ ნიშნიანიძე) მკლავის გაშლაც მოინდომეს, მაგრამ აქამდე აღარ მიუშვეს. არადა, კორცხელში დატრიალებული „ტრაგედია“ საპარლამენტო კადრებითაც თუ გამაგრდებოდა და ევროსაბჭოში ისე გაიგზავნებოდა, მართლა მაგარი რამე იქნებოდა. ცოტა სისხლის გამოშვება იყო საჭირო, მაგრამ იყო მხოლოდ დედისა და კეთილების გინება. პრინციპში, „ნაციონალებმა“ პოლიტიკურად მაინც „გაისწორეს“, ეს გაწევ-გამოწევა იმისთვის გამოიყენეს, რომ საპარლამენტო მუშაობაში მონაწილეობას აღარ მიიღებენ, „სანამ დამნაშავეები და დამკვეთი არ დაისჯებიან“-ო. რეგლამენტის 133-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, მათ ამის უფლება აქვთ.

რეგლამენტით დეპუტატს ან დეპუტატთა ჯგუფს უფლება აქვს, არევიდან პირველივე დღეს გამოაცხადოს ბოიკოტი პოლიტიკური შეხედულებების მოტივით და მხართეძოზე წამოწვეს სახლში, თუნდაც მთელი ოთხი წლის განმავლობაში (გაიხსენეთ „ლეიბორისტების“ მაგალითი, როცა ისინი 4 წელი ჩვეულებრივად იღებდნენ ხელფასებს, მაგრამ პარლამენტში არ უვლიათ). ახლა „ნაციონალებს“ შეუძლიათ, დარჩენილი 5 თვე საარჩევნოდ გამოიყენონ, ანუ პარლამენტში ჯდომით დრო აღარ დაკარგონ.

როგორც უმრავლესობის წევრი, ომარ ნიშნიანიძე ამბობს „ალიაგვიკაკუნებენ თავში“.

რაც ხდება „ნაციონალურ“ ბანაკში, ვხედავთ – სააკაშვილის დირექტივები სრულდება ზედმიწევნით კარგად. რა ხდება ამ დროს „ნაოცნებართა“ კულუარებში? რატომ გარბიან დეპუტატები გაურკვეველი მიმართულებით და რატომ ფიცულობენ ისინი ივანიშვილის მზეს მაშინაც კი, როცა „ქართული ოცნებიდან“ ერეკებიან? ვინ არის ის უხილავი ძალა, რომელიც მათ პარტიიდან ყრის, მაგრამ ამავე დროს ხატავს სურათს, თითქოს ბატონი ბიძინა არაფერ შუაშია? წავიდა თამაზ მეჭიაური, მიდის ომარ ნიშნიანიძე, კოალიციიდან გავიდნენ „მრეწველები“, „ფორუმი“...

არ ვამტკიცებთ, რომ უტყუარი ინფორმაციაა, მაგრამ წყარო, რომლის ნათქვამიც თითქმის ყოველთვის მართლდება ხოლმე, „ალიასთან“ აცხადებს, რომ 12 ივნისამდე თავიანთ გზას გაუდგებიან ფრაქცია „ქართული ოცნების“ სხვა წევრებიც: „ცოტა ხანში შეიძლება თამაზ მეჭიაურის ახლად შექმნილ პარტიაში აღმოჩნდეს ირაკლი ღარიბაშვილის ცოლისძმა, დეპუტატი ლექსო თამაზაშვილი, რადგან ისიც აღარ იქნება „ოცნების“ საარჩევნო სიაში. რაც შეეხება ახალ პარტიას, ჯერ ჩანასახის პროცესშია და ნუ გამოვრიცხავთ, რომ ეს ირიბად უკავშირდებოდეს თავად ბიძინა ივანიშვილს, როგორც „ქართული ოცნების“ ტრონებიან, მაგრამ ვინმე დაიჯერებს, რომ ეს ივანიშვილის გარეშე ხდება? ერთი ვერსიით, ეს საქმე დავალებული აქვს გიორგი კვირიკაშვილს, მას მოჰყავს პარტიაში დავით კოღუაშვილი, მამუკა მდინარაძე და სხვები; მეორე ვერსიით – ეს ხდება ამერიკელების ზეწოლით და ბიძინა ივანიშვილი იძულებულია, ფარ-ხმალი დაყაროს. მას შემდეგ, რაც კოალიცია დატოვეს პროდასავლელმა „რესპუბლიკელებმა“, „ქართული ოცნება“ უნდა გამაგრდეს ცალკეული პროდასავლური ძალებით, რათა მმართველი პარტიის კურსში ეჭვი არავინ შეიტანოს. იგივე წყაროს თქმით, ივანიშვილის გარშემო სიტუაციას სრულად აკონტროლებს ამერიკის ელჩი: „ივანიშვილი დასავლურ კურსში ცვლის ისეთ მეგობრებს, რომლებსაც ნატო არ ეხატებათ გულზე. „ქართულ ოცნებაში“ არაფერი ხდება ივანიშვილის გარეშე, ყველა მიდის მისი დასტურით, ყველას ეუბნება, პატივს ვცემ შენს გადაწყვეტილებასო და ეს უკვე გასაგებია. თუმცა ჯერ არიან ისეთებიც, რომლებსაც არ ჰქონიათ მასთან საუბარი და გაურკვევლობაში იმყოფებიან“.

**რაც ხდება „ნაციონალურ“ ბანაკში, ვხედავთ – სააკაშვილის დირექტივები სრულდება ზედმიწევნით კარგად. რა ხდება ამ დროს „ნაოცნებართა“ კულუარებში? რატომ გარბიან დეპუტატები გაურკვეველი მიმართულებით და რატომ ფიცულობენ ისინი ივანიშვილის მზეს მაშინაც კი, როცა „ქართული ოცნებიდან“ ერეკებიან? ვინ არის ის უხილავი ძალა, რომელიც მათ პარტიიდან ყრის, მაგრამ ამავე დროს ხატავს სურათს, თითქოს ბატონი ბიძინა არაფერ შუაშია?**

ომარ ნიშნიანიძე „ალიასთან“ საუბარში ამბობს და თამაზ მეჭიაურიც ადასტურებს, რომ „ქართულ ოცნებაში“ ხდება იდეოლოგიის კორექტირება, რაც ძალიან ჰგავს ხავერდოვან რევცურად მითხარი. კარგად იყოს ყველა, უბრალოდ, არ მინდა, „ქართული ოცნება“ დაემსგავსოს „ნაცმოძრაობის“ ფილიალს. ხაზგასმით ვამბობ, მიუხედავად იმისა, რომ იყო უარყოფითი განცხადებები, დღეს ამ პარტიას მაინც მართავენ კოღუაშვილები, ხორციელდება მათი იდეოლოგია“.

„ალიამ“ დავით კოღუაშვილს არაერთხელ შესთავაზა კომენტარის გაკეთება, მაგრამ უარს ამბობს. და მაინც, მივდივართ ერთ წერტილამდე: ბიძინა ივანიშვილი, მინუს, დანარჩენი „ოცნება“, ანუ შეგვიძლია, დავუპირისპირდეთ ყველას, ივანიშვილის გარდა. რასაკვირველია, როგორც თამაზ მეჭიაური და ომარ ნიშნიანიძე ამბობენ, აქ ძალიან დიდ როლს თამაშობს განვლილი 4 წელიწადი, ისინი ამ ადამიანის წყალობით მოხვდნენ პარლამენტში და გინებას ვერ დაუწყებენ, ვერ იქნებიან უმადურები „რესპუბლიკელებივით“ და „თავისუფალი დემოკრატებივით“. თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, ზემოთაც აღვნიშნეთ, ასევე, დიდ როლს თამაშობს იმედი, მათ ჯერ კიდევ ჰგონიათ (ან იციან), რომ ივანიშვილი „რადარებს მიღმა“ არ დატოვებთ. მაგალითად, იგივე ივანიშვილი რომ არ იყოს (იდეურად მაინც) დაინტერესებული ახალი პარტიის შექმნით, მაშინ არც თამაზ მეჭიაურს მიიღებდა სამ დღეში ორჯერ სასაუბროდ და არც მისი სამომავლო სიით დაინტერესდებოდა. საინტერესოა, ვისთან „ჩაბმას“ გეგმავს თავად მეჭიაური? თავდაპირველად იყო მოლაპარაკებების ერთგვარი მცდელობა დიმიტრი ლორთქიფანიძესთან, ლალი მოროშკინასთან, შალვა ხაჭაპურიძესთან, სოსო მანჯავიძესთან და სანდრო ბრეგაძესთან, მაგრამ ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არც ერთ მხარეს არ მიუღია.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ბექას დედა ადრე გარდაეცვალა, მამამ კი 5 შვილი მიატოვა“ - რატომ მოიკლა თავი ახალგაზრდა მამაკაცმა?



სუიციდის ფაქტი სვანეთში - მესტიის რაიონში ახალგაზრდა მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო. შემთხვევა 23 მაისს მოხდა.

გარდაცვლილის ახლობლები ჰყვებიან, რომ ბექა ქურდიანს დედა ადრეულ ასაკში გარდაეცვალა, მამამ კი 5 შვილი მარტო დატოვა.

ახალგაზრდა ბიძასთან, მესტიაში რამდენიმე თვის წინ გამოჩნდა. მეზობლების ინფორმაციით, უცნობია, სად ცხოვრობდა მთელი 20 წელი მამაკაცი.

ახლობლები ბექა ქურდიანს დადებითად ახასიათებენ, თუმცა იხსენებენ, რომ ბოლო დროს დეპრესიით გამოირჩეოდა.

– ძალიან ჭკვიანი იყო, ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობდა, თუმცა ბოლო დროს ამბობდა, რომ ძალიან დაიღალა და ცხოვრება აღარ შემიძლიაო, - გვითხრა გარდაცვლილის ახლობელმა.

ფაქტს შს სამინისტროშიც ადასტურებენ. უწყების ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## „გოგი თოფაძე მენტალურად და პოლიტიკურად არის რუსი“ - დავით ბერძენიშვილი



ხურჩაში რუსი ოკუპანტის მიერ ქართველი მამაკაცის მკვლელობის ფაქტზე გოგი თოფაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, დავით ბერძენიშვილი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ გოგი თოფაძე მენტალურად და პოლიტიკურად არის რუსი:

– გოგი თოფაძე მენტალურად, პოლიტიკურად არის რუსი, გოგი თოფაძემ ამ განცხადებით, თინა ხიდაშელთან ბრძოლით, ქართულ ჯართან ბრძოლით, მრავალჯერ გვაჩვენა და დღეს ბეჭედი დაუსვა, რომ პოლიტიკურად ის ქართველი არ არის, - განაცხადა დავით ბერძენიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ გოგი თოფაძემ განცხადება გააკეთა გიგა ოთხოზორიას მკვლელობაზე და აღნიშნა, რომ „ერთი ადამიანის მკვლელობის ამ დონეზე აყვანა საჭირო არ არის". (ნიუპოსტი)

## რატომ დატოვა ლალი მოროშკინამ საქართველო



ლალი მოროშკინა „ფეისბუკის“ საშუალებით ინფორმაციას ავრცელებს, რომ საქართველოდან გაურკვეველი ვადით გაემგზავრა, თუმცა როგორც წერს, გულს საქართველოში ტოვებს.

– ჩემო ტკბილო და საყვარელო ადამიანებო, დასრულდა ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი მონაკვეთი.

ურთულესი წელი მქონდა და მადლობა ყველას თანადგომისთვის, გტოვებთ და თან ჩემს გულს გიტოვებთ.

არ ვიცი, როდის დავბრუნდები, ან დავბრუნდები თუ არა საერთოდ... ტკივილამდე მიყვარს საქართველო, არც დავფიქრდები, ისე გავწირავ თავს, მაგრამ დგება მომენტი, როდესაც გვერდზე უნდა გადგე და ისე შეაფასო მოვლენები. იქნებ მეჩვენება, რომ რაღაც დალპა... ზუსტად ვიცი, სადაც არ უნდა ვიყო, ყველგან ქართულ საქმეს გავაკეთებ და რიგითი ჯარისკაცივით საქართველოს ვემსახურები, მშვიდობით,...- წერს მოროშკინა. (ნიუპოსტი)

## „ოპერატორებს ელოდებოდნენ, რომ დავარდნილი ბოკერია ევროპისთვის ეჩვენებინათ“



სპორტისა და ახალგაზრდობის კომიტეტის თავჯდომარის პირველი მოადგილე შოთა ხაბარელი კორცხელში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით გიგა ბოკერიასა და ნიკა მელიას დაკითხვას ითხოვს.

– მოვუწოდებ სამართალდამცავ ორგანოებს, აუცილებლად იყოს გამოძიებული, ვინ წამოიწყო ეს პროვოკაცია. ნიკა მელია, გიგა ბოკერია, თავის ძმებთან ერთად ჩავიდნენ იქ პროვოკაციაზე... აი, ისინი უნდა დაიკითხონ. პირადად ნიკა მელია, რომელიც თავისი დიდი აგრესიით გამოირჩევა, გახსოვთ, ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებით, როდესაც გამოდის, პირდაპირ მიდის პროვოკაციაზე, პირდაპირ იწვევს ხალხს ჩხუბისკენ, მოახერხა გიგა ბოკერიამ, რომ ელოდებოდნენ გადამღებ ჯგუფებს, რათა ანახონ ევროპელებს.

მინდა მივმართო ჩვენს მეგობრებს, ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეს სამეგრელოს - მეგრელებო! თქვენ იცით ეს ადამიანები ვინ არიან, ესენი არიან რომლებიც კასრში ინახავდნენ იარაღს, იმისათვის, რომ გამოეყენებინათ თქვენთვის და საქართველოს წინააღმდეგ. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც მთელი საქართველო ციხედ გადააქციეს, ყველა ადამიანს შეეხო ამათი ბინძური ხელი და გვინდა ჩვენ ეს დავაბრუნოთ?! - აღნიშნა ხაბარელმა. (ipress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...




გელა ზედელაშვილი
555 48-48-61


**2011 წლის 26 მაისი — ერთ-ერთი ტრაგიკული დღე საქართველოს ისტორიაში. მას შემდეგ 5 წელიწადი გავიდა. იმ ღამეს ჩადენილმა უპრეცედენტო დანაშაულმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 2012 წელს მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის გადაშენებაში. თუმცა არანაკლები დანაშაული ჩაიდინა „ოცნების“ ხელისუფლებამ, როცა წარსულ მოვლენებს გადაეფარა, არ გამოიძია და მეტიც, „ნაციონალური მოძრაობა“ ერთ დიდ „ზონდერ-ჯგუფად“ ჩამოაყალიბა, რომელიც უკვე საშიშ სახეს იღებს, როგორც ქვეყნისთვის, ისე თითოეული მოქალაქისთვის. რაც მოხდა, ყველამ საკუთარი თვალით ვნახეთ, მაგრამ საინტერესოა, რატომ არ გამოიძია ახალმა ხელისუფლებამ თუნდაც მაღაზიის თავზე შემოდებული გვამების საქმე?**

> „მურუსიძეების ხელშეუხებლობით ახალმა ხელისუფლებამ ქვეყანაში დააკანონა უკანონობა და ივანიშვილმა სამართლიანობის აღდგენაზე თქვა უარი. კადრები არსებობს, ვიცით, ვინ ურტყამდა, ბორკილებს ვინ ადებდა, ვინ კლავდა, ცოცხალი მოწმეები აგერ არიან, ამის იურიდიულად გაფორმებას რა უნდოდა? როცა დაიწყებოდა გამოძიება, ყველა ყველაფერს აღიარებდა, 2012 წელს ყველა თანახმა იყო, ჩვენება მიეცა“

# ვინ და რატომ დაბლოკა 26 მაისის საქმის გამოძიება?

## ზაზა ხატიაშვილი: „ვიცით, ვინ ურტყამდა, ბორკილებს ვინ ადებდა, ვინ კლავდა, ცოცხალი მოწმეები აგერ არიან“




**რატომ დადიან დღეს თავისუფლად ის ადამიანები, რომელთა წინააღმდეგაც უამრავი ვიდეოსამხილი არსებობს? ვინ გასცა ბრძანება, რომ „ბართლომეს ღამის“ მომწყობებს არავინ შეხებოდა? აქ არ არის საუბარი შურისძიებაზე, ჩვენ გვაინტერესებს, როგორ უნდა მომხდარიყო დამნაშავეების დასჯა იურიდიული თვალსაზრისით. ამაზე „ალიას“ „ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარე, ზაზა ხატიაშვილი ესაუბრება:**

– სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში იყო რამდენიმე მძიმე დანაშაული, მაგრამ ამჯერად ვილაპარაკოთ 26 მაისის დანაშაულზე. აქ მონაწილეობდა სპეცრაზმი, პოლიცია, სასამართლო და პროკურატურა. სამართლიანობის აღდგენას რომ დაგვპირდა ახალი ხელისუფლება, ეს უნდა დაწყებულიყო სწორედ აქედან, უნდა დასჯილიყვნენ ის ადამიანები, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმს ემსახურებოდნენ და ასრულებდნენ უკანონო დავალებებს. საქართველოში აუცილებლად უნდა გამართულიყო ნიურნბერგის პროცესის მსგავსი პროცესი. მე არავის დაჭერა არ მინდა, მაგრამ უნდა გაგვესამართლებინა ეს ხალხი, განსაკუთრებით მოსამართლეები და პროკურორები, ასევე, პოლიციელები, რომლებიც ამას აკეთებდნენ. ამათ უნდა სცოდნოდათ, როგორი არ უნდა იყოს სამართალდამცავი. 26 მაისს ადამიანებს რომ სცემეს, სასამართლოებში წაათრიეს და მოსამართლეები პროცესებზე უყვიროდნენ, ჩვენი მიშასგან რა გინდათო?! ასევე, მახსოვს, როგორ გააქრეს სოსო ჯაჭვლიანი, ლუკა კურტანიძე და მურმან დუმბაძე, ვერ ვპოულობდით. ყველამ ყველაფერი იცის, ყველას შეუძლია ხელის დადება, ვინც აწამებდა. მე არა მგონია, კურტანიძეს, ჯაჭვლიანსა და დუმბაძეს იმ ადამიანების დასჯა არ უნდოდათ. ახალი ხელისუფლება აღმოჩნდა დილემის წინაშე, ან უნდა აღედგინა სამართლიანობა და ქვეყანა ემართა სწორი გზით, ან კიდევ დაყრდნობოდა მიხეილ სააკაშვილის კადრებს და ისევე, გამოეყენებინა, როგორც იყენებდა თავად სააკაშვილი. როცა ივანიშვილი მოვიდა, საზოგადოებას შესთავაზა, დაზარალებულებმა პროკურატურაში სარჩელები შეიტანეთო. მახსოვს, დაახლოებით 25 ათასმა ადამიანმა შეიტანა საჩივარი. შემდეგ იუსტიციის სამინისტრომ გამოაცხადა, ხარვეზების დამდგენი კომისია შეიქმნება და თქვენს საქმეებს განვიხილავთო. რამდენიმე თვეში 25 ათას კაცს მისწერეს, კომისია აღარ შეიქმნებაო და საქმეები დააწერეს იმ პროკურორებს, რომლებსაც ეს ხალხი უჩიოდა. დაუკვირდი, როგორ განვითარდა მოვლენები, ივანიშვილმა ჯერ გადადგა ნაბიჯი სწორად, მაგრამ მერე უცებ გადადგა სხვა მხარეს.

**— რატომ, ზეწოლა მოხდა ევროპიდან და ამერიკიდან?**

– არა, ახალმა ხელისუფლებამ იფიქრა, ეს სასამართლო და პროკურატურა უკვე გამობრძმედილია სიბინძურეებში და ჩვენც ისევე მოგვემსახურება, როგორც სააკაშვილს ემსახურებოდაო. ასე უფრო იოლად შეინარჩუნებდნენ ძალაუფლებას, ამიტომ არ გამოიძიეს 7 ნოემბერი, 26 მაისი და ძალიან ბევრი სხვა დანაშაული. შენ, ალბათ, ისიც გახსოვს, როგორ „ნახულობდა“ საქართველოში ხალხი ერთსა და იმავე სიზმარს და მერე როგორ ჩუქნიდნენ საკუთარ ქონებას სახელმწიფოს. ყველა საქმეში მონაწილეობდა ერთი ნოტარიუსი. ამას გამოძიება რად უნდოდა? თუ პოლიტიკური ნება იქნებოდა, 26 მაისის საქმესაც გამოიძიებდნენ, ყველაფერი გადაღებულია, ყველაფერი ხელის გულზე დევს. საქართველო პატარაა, შესაძლებელი იყო ყველაფრის გამოძიება. მოკლედ, ხელისუფლებამ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება და თავი ჩაიგდო კურიოზულ სიტუაციაში – ვანო მერაბიშვილს კი წაუყენეს ბრალი, მაგრამ, თუ ის იყო ორგანიზატორი, ხომ ჰყავდა შემსრულებლებიც? აი, ამიტომ იძახიან უცხოეთში, მერაბიშვილი პოლიტიკური პატიმარიაო. ის ამ კუთხით გამართლდება აქ თუ არა, სტრასბურგში მაინც. ვანო მერაბიშვილი მარტო ვერ ჩაიდენდა ამხელა დანაშაულს, მას უნდა ჰყოლოდა თანამზრახველები და ჰყავდა კიდეც, რომლებიც ისევ გარეთ არიან. ივანიშვილმა გადაწყვიტა სააკაშვილის ნარჩენების გამოყენება მომსახურე პერსონალად და ამის ნათელი მაგალითია ლევან მურუსიძე. ეს ადამიანი, სავარაუდოდ, მონაწილეობდა ყველა იმ უბედურებაში, რაც კი დატრიალდა საქართველოში. მე კი ვიცი, რომ მონაწილეობდა, მაგრამ სიტყვას „სავარაუდოდ“ იმიტომ ვხმარობ, რომ სასამართლოს მიერ განაჩენი არ არის გამოტანილი.

მურუსიძეების ხელშეუხებლობით ახალმა ხელისუფლებამ ქვეყანაში დააკანონა უკანონობა და ივანიშვილმა სამართლიანობის აღდგენაზე თქვა უარი. კადრები არსებობს, ვიცით, ვინ ურტყამდა, ბორკილებს ვინ ადებდა, ვინ კლავდა, ცოცხალი მოწმეები აგერ არიან, ამის იურიდიულად გაფორმებას რა უნდოდა? როცა დაიწყებოდა გამოძიება, ყველა ყველაფერს აღიარებდა, 2012 წელს ყველა თანახმა იყო, ჩვენება მიეცა. ჩვენ მიმტევებელი ხალხი ვართ, არ ვითხოვდით ამათ გაშვებას ციხეში, უნდა მომხდარიყო შეფასება, დადგენა და გაეშვათ სამსახურებიდან. ვიმეორებ, ივანიშვილმა აირჩია მეორე გზა, ესენი დატოვა და უთხრა: თქვენ დანაშაული რომ გაქვთ ჩადენილი, მე ვიცი, ამიტომ დარჩებით და მოემსახურებით ახალ ხელისუფლებას. ჩვენ ვნახეთ, როგორი ცემა-ტყეპა იყო რამდენიმე დღის წინ, ვინ მონაწილეობს ამ საქმეში? ისევ ისინი, რომლებიც გამობრძმედილები არიან.

**— ანუ ვინც გუშინ „ნაციონალების“ ეგიდით არბევდა, ახლა „ოცნების“ ეგიდით არბევს?**

– რა თქმა უნდა, ისევ მოჭიდავეები, ისევ სპორტსმენები. ევროსასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება ერთ-ერთ საქმეზე, ერთი პიროვნება აწამეს პოლიციელებმა, ქობულიამ და მჟავიამ. დღეს პირველი პოლიციის სამმართველოს უფროსია წყალტუბოში, ხოლო მეორე – ერთ-ერთი განყოფილების უფროსი. ამით ახალმა ხელისუფლებამ თქვა, მე ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებიც კი არ მაინტერესებსო. იგივე ჯაჭვლიანსა და კურტანიძეს მიემართათ ევროსასამართლოსთვის, თუ ეს პროკურატურა არ იძიებს, გამოეთქვათ პროტესტი, თვითონ არ არიან ხელისუფლებაში? დამსხდარიყვნენ პარლამენტში საშიმშილოდ, ხომ იციან, ვინც აწამათ? არა, ეგენი შეიყვანა ივანიშვილმა თავისთან და უთხრა, უნდა აპატიოთო. მე მათ ადგილზე არ ვაპატიებდი!

**— კი, მაგრამ ივანიშვილმა ყველა ხომ არ შეიყვანა თავისთან? შექმნილიყო ერთი დიდი საქმე და წასულიყო სტრასბურგში. მართალია, აქ ყველა ინსტანცია უნდა გაევლო, მაგრამ ესეც მოხერხდებოდა როგორმე, თვითონ დაზარალებულებმაც ხომ არ იზარმაცეს?**

– ნინო ბურჯანაძემ გასაჩივრა პროკურატურაში, მაგრამ რა გამოვიდა? მანანა კობახიძეც კი იყო მისი ადვოკატი მაშინ. ამ საქმეს სტრასბურგი არ სჭირდება, ყველამ ყველაფერი იცის. მოხდებოდა იდენტიფიკაცია და დამნაშავეები წავიდოდნენ სისტემიდან. არჩევნები მოდის, ამ მოძალადეებს აქ გამოიყენებენ, სხვა ამ შავ სამუშაოს არ შეასრულებს. ამისთვის სჭირდებათ მურუსიძე. ამას მალე ვნახავთ!

> „ახალმა ხელისუფლებამ იფიქრა, ეს სასამართლო და პროკურატურა უკვე გამობრძმედილია სიბინძურეებში და ჩვენც ისევე მოგვემსახურება, როგორც სააკაშვილს ემსახურებოდაო. ასე უფრო იოლად შეინარჩუნებდნენ ძალაუფლებას, ამიტომ არ გამოიძიეს 7 ნოემბერი, 26 მაისი და ძალიან ბევრი სხვა დანაშაული“



ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33

**რა მდგომარეობაა საქართველოში მძღოლთა შრომითი უფლებების დაცვის კუთხით? რა ჩაითვლება მათი უფლებების დარღვევად და როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ შემთხვევაში?**

**„ალიას“ „ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ თავმჯდომარე, დავით მესხიშვილი ესაუბრა:**

# არაპროფესიონალ მძღოლებს „ტაქსაობა“ აეკრძალებათ




– ბოლო პერიოდში საქართველო, განსაკუთრებით რეგიონები, მძღოლების გაფიცვებმა და აქციებმა მოიცვა. ჩვენ გვაქვს იმის ფიქრის საფუძველი, რომ მძღოლების უფლებები ირღვევა. ჩვენ ვსწავლობთ როგორც ტაქსის, ასევე ავტობუსის, მიკროავტობუსის მძღოლების, მეტროს მემანქანეების შრომით უფლებებს.

— **ამ მომენტისთვის რაიმე მონაცემები თუ გაქვთ, რა ხდება ამ კუთხით?**

– დიახ, გვაქვს. სერიოზული პრობლემა ჩნდება იმასთან დაკავშირებით, რომ ტაქსის მძღოლების ძირითადი ნაწილი არის თვითდასაქმებული, მაგრამ საუბედუროდ, სახელმწიფოს მათთვის არაფერი გაუკეთებია, გვერდით არ დადგომია, ამიტომ ამ ადამიანების დიდი ნაწილი არ თვლის თავს დასაქმებულად. როგორც იცით, მერია აპირებს რეგულაციების შემოღებას ტაქსებთან დაკავშირებით, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ მათი ზუსტი რაოდენობაც კი არ ვიცით, ეს რეგულაციები ვის და როგორ უნდა შეეხოს. როდესაც ჩვენ დავიწყეთ კვლევის ჩატარება, აღმოჩნდა, რომ ტაქსის მძღოლებს სხვადასხვა მიდგომა აქვთ. მაგალითად, არიან ბრენდი კომპანიები, რომლებსაც თბილისის მერიის დაგეგმილი რეგულაციები უნდათ, თვითდასაქმებულ ტაქსის მძღოლებს დიდად არ სურთ ამ რეგულაციების განხორციელება, თუმცა ყველა აღნიშნავს, რომ ამ სფეროში გარკვეული რეგულაციები მაინც არის საჭირო, რადგან დღეს ჩვენ როგორი ტაქსებითაც ვმგზავრობთ, არ არის მოსაწონი.

— **რა მოიკვლიეთ, სად ირღვევა მათი უფლებები?**

– ჩვენ აქვე შეგვიძლია, მიკროავტობუსის მძღოლებიც მოვიყვანოთ. მათი უფლებები რამდენიმე მიმართულებით ირღვევა: პირველი ის, რომ შესაძლოა, ეს პიროვნებები მუშაობდნენ კომპანიის ავტომობილებზე და ეს ავტომობილები იყოს ტექნიკურად გაუმართავი. მაგალითად, ყვითელი მიკროავტობუსების შემთხვევაში გაცილებით რთული სიტუაციაა, რადგან მათ მოსთხოვეს ყოველთვიური შესატანი თანხა, რაც შეიძლება გაიზარდოს ხოლმე და პირველი დარღვევა უკვე აქ არის. ერთ მშვენიერ დღეს, არამარტო ყვითელი „მარშრუტკების“, არამედ ნებისმიერი კომპანიის მეპატრონემ შეიძლება გააძვიროს მიკროავტობუსით მგზავრობა. იმის გამო, რომ ასეთ გადასახადს ახდევინებენ, მძღოლები იძულებულები ხდებიან, ყველაფერი დაარღვიონ, არ იცის, რა ღონეს მიმართოს, რათა რამენაირად შეძლოს ფინანსური ეკონომიის პოვნა და რას აკეთებს: 1. კუსტარულად გადაჰყავს გაზზე ტრანსპორტი, ან სხვა რაღაცას გადააკეთებს მანქანაში, რაც მგზავრობისას გარკვეულ რისკებს ქმნის; 2. ზრდის მგზავრობის ღირებულებას; 3. მიკროავტობუსში ადამიანებს ფეხზე აყენებს, რაც ძალიან საშიშია და ჩვენ არაერთი საქალაქთაშორისო ავტოსაგზაო შემთხვევი გვქონდა, რომლებიც ადამიანების გარდაცვალებით დამთავრდა. ზოგადად, ისიც არ არის დადგენილი, რამდენი პროფესიონალი მძღოლი არსებობს ქვეყანაში და ვინ თვლის თავს პროფესიონალ მძღოლად. კიდევ ერთი: დღეს ბაზარზე ძალიან აქტიურად შემოდიან თურქული კომპანიები, მე მომხრე ვარ, რომ კონკურენცია იყოს, მაგრამ მძღოლების ერთ-ერთი გაფიცვა სწორედ ამაზე იყო, რომ ეს კომპანიები ქართველ მძღოლებს სამსახურს ართმევენ და მათი უფლებების დამცველი არავინაა, რადგან მეორე მხარეს სერიოზული ინვესტიციებია. ამასთანავე, აქ ჩვენ ვაწყდებით პრობლემებს, რომ მძღოლებმა არ იციან, ვისთან რა ხელშეკრულება აქვთ დადებული, რადგან არ აქვთ შესაბამისი იურიდიული განათლება, რაც მათ არც მოეთხოვებათ. ამიტომ ვიღებთ ძალიან დიდ აურზაურს ამ სფეროში, სადაც მძღოლთა შრომითი უფლებები არ არის დაცული. ისევ თბილისის მერიის ტაქსებზე დაგეგმილ რეგულაციებზე მინდა ვთქვა, რომელშიც ტაქსის მძღოლები უნდა მოექცნენ: ეს იმას ნიშნავს, რომ თვითდასაქმებული ადამიანები უნდა გადაიქცნენ პროფესიონალ მძღოლებად, რაც არცთუ ისე უმტკივნეულო პროცესი იქნება, რადგან შეიძლება ვილაცამ ის მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილოს, რა მოთხოვნებიც მათ წინაშე დადგება. ამ საკითხზე მუშაობა ჯერ კიდევ მიმდინარეობს და ბევრი რამე დაკონკრეტდება

— **მგზავრის მხრიდან რომ შევხედოთ, ეს ხომ მისთვის კარგია? ზუსტად ეცოდინება, როგორ მძღოლს მიჰყავს ის დანიშნულების ადგილამდე...**

– მგზავრისთვის კარგია, რომ იცოდეს, დავუშვათ, აქვს თუ არა მძღოლს ნარკოლოგიურის, ჯანმრთელობის ცნობა და რომ ყოველმხრივ შემოწმებულია, მაგრამ მეორე მხრივ, საკითხი ასე დგას: რამდენად სწორედ მიიღებენ ისინი ამ დოკუმენტაციას? ხშირად ასეთ ცნობებს, უბრალოდ, ყიდულობენ და ამაზე ჩვენ წინა ინტერვიუში ვისაუბრეთ. ვფიქრობთ, ამ მტკივნეულ პროცესში ძალიან სერიოზული მონიტორინგი იქნება საჭირო. კიდევ ერთი: ჩვენი და ფრიდრიხ ებერტის ფონდის ერთობლივი მუშაობის შედეგად, პირველად ამ სფეროში დაიდება პროფესიონალურ დონეზე გაკეთებული ანალიზი და რეკომენდაციები გადაეგზავნება სახელმწიფოსაც, კერძო კომპანიებსაც და ჩვენ ვფიქრობთ შემდგომ მემორანდუმის შემუშავებას, სადაც ყველა მხარე შეთანხმდება გარკვეულ თანამშრომლობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე ვხედავ საშიშროებას, მძღოლების გაფიცვებმა, მთელი ქვეყნის მასშტაბით, უფრო სისტემატური და აგრესიული ხასიათი მიიღოს, რაც არ მგონია, ნორმალურ სიტუაციაში ხელისუფლებას აწყობდეს. ამიტომ ხელისუფლებას მოვუწოდებთ, გარკვეულ თანამშრომლობაზე წამოვიდეს, რადგან მას შეუძლია, ეს ყველაფერი სწორად დაარეგულიროს.

— **რა უნდა ქნას მძღოლმა, როცა მისი შრომითი უფლებები ირღვევა? როგორ უნდა დაიცვას თავი?**

– ასეთი დარღვევების დროს, ბუნებრივია, გამოსავალია სასამართლო, მაგრამ ვხვდებით ისეთ რეალობაში, რომ კომპანიის ხელმძღვანელები მათ უწევენ სრულ ექსპლუატაციას. ჩვენთან პირად საუბარში მძღოლები ამბობენ, რომ მათ გარკვეულწილად აქვთ შიშიც, რომ სასამართლოსთვის მიმართვის გამო სამსახური არ დაატოვებინონ. ჩვენ ვცდილობთ, მძღოლთა პროფკავშირებთან ერთად უფრო აქტიური გავხდეთ, რადგან ხშირ შემთხვევაში, შეიძლება ჩვენ უფრო დავიცვათ მათი უფლებები, ვიდრე მათ თავად მოახერხონ ეს. აქ გამოსავალია, ერთი მხრივ, ამ კუთხით მძღოლთა ცნობიერების გაზრდა, მეორე მხრივ, შიშის ფაქტორის მოხსნა და მესამეს მხრივ, როდესაც ჩვენ მემორანდუმზე შევთანხმდებით, კომპანიის ხელმძღვანელებიც და სახელმწიფოს წარმომადგენლებიც, ვფიქრობ, გარკვეულ კონსენსუსამდე მივალთ.

— **იმ შემთხვევაში, თუ მძღოლმა მიმართა სასამართლოს, განაცხადა, რომ მისი შრომითი უფლებები ირღვევა და სასამართლომ ეს დაადასტურა, რა ელის კონკრეტულ კომპანიას, სადაც ეს მძღოლია დასაქმებული?**

– რაღაც კონკრეტულ დარღვევაზე კონკრეტული ჯარიმა არ არის, მაგრამ სასამართლოს შეუძლია, რა მიმართულებითაც დაირღვა მძღოლის შრომითი უფლება, ამის მიხედვით დააკისროს კომპანიას კომპენსაცია. მაგალითად, თუ მძღოლს ხუთი საათის ნაცვლად, რაც ხელშეკრულებაშია გათვალისწინებული, ამუშავებენ 12 საათს და მას შესაბამის თანხას არ უხდიან, სასამართლო აუცილებლად დააკისრებს კომპანიას ამ სხვაობის გადახდას.

— **თუ არის პრეცედენტი, რომ მძღოლმა კომპანიას უჩივლა სასამართლოში და მოუგო?**

– ჩვენთვის არც ერთი ასეთი პრეცედენტი ცნობილი არ არის, რადგან როგორც აღვნიშნე, მძღოლებში შიშის გარკვეული ფაქტორი არსებობს, რომ მათ არ მოუწიოთ სამსახურის დატოვება, ეს არის ასეთი პრეცედენტის არარსებობის ძირითადი მიზეზი.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დღეიდან 1 თვის განმავლობაში, პირადობის მოწმობები უფასოდ გაიცემა




იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, 26 მაისიდან 26 ივნისამდე პირადობის მოწმობის აღება უფასო იქნება.

აქცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25-ე წლისთავს ეძღვნება და მისი მიზანია, ხელი შეუწყოს პოტენციური ამომრჩევლების მონაცემთა დაზუსტებას.

იუსტიციის მინისტრის ბრძანების თანახმად, ახალი პირადობის მოწმობის უფასოდ მიღება შეეძლებათ პირებს 17 წლის ასაკიდან. მოქალაქეებმა უნდა მიმართონ იუსტიციის სახლებს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს ან საზოგადოებრივ ცენტრებს და მიიღონ პირადობის მოწმობა უფასოდ. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემისას მოქალაქეები გათავისუფლდნენ ფოტოსურათის საფასურისგანაც. (pia.ge)

## „პატრიარქის სურვილია, მახათას მთა რომ გაიხსნება, ეთერს იქ გადაასვენებენ“



26 ივნისს მომღერალ ეთერ კაკულიას გარდაცვალებიდან ერთი წელი გადის. მომღერლის რძალი ნინი მელაშვილი:

– წელს პირველი აღდგომა იყო, როცა ეთერი ჩვენ გვერდით აღარ არის. ვიყავით მის საფლავზე, გვეხამუშებოდა რაღაცნაირად...

ეთერის ოთახში, მისი ნივთები როგორც ეწყო, ისევ ისე აწყვია, ხელს არაფერს ვკიდებთ. იმ ოთახში ფეხაკრეფით და მორიდებით შევდივართ. ის ხატები, რომლებზეც ლოცულობდა, ისევე აწყვია. თავის ხატი ჰქონდა, რომელსაც სულ ელაპარაკებოდა. ჰოდა, ოთახში რომ შევდივარ, სულ ეთერს ვგრძნობ, საოცარი ენერგეტიკა აქვს იქაურობას. მისი პარფიუმერიაც ისევე ხელუხლებელია. ხომ არის, რომ ადამიანი გარდაიცვლება და მისი ნივთები გადალაგდება, დახარისხდება, ვილაცას ჩუქნიან, ან მის ოთახში სხვა გადაინაცვლებს, ეს ყველაფერი ჩვენთვის ძალიან რთულია... ეთერი ვაკის სასაფლაოზე, დედ-მამის გვერდით არის დაკრძალული. არადა, დიდუბის პანთეონზე იყო ლაპარაკი, მაგრამ იქ ადგილი არ აღმოჩნდა, მერე პატრიარქის სურვილი იყო, ჯერ დედ-მამასთან დაკრძალულიყო და მახათას მთა რომ გაიხსნება, ეთერს იქ გადაასვენებენ, პანთეონში დაკრძალავენ. ახლა ამას ველოდებით, - ამბობს ნინი მელაშვილი. (ambebi.ge)

## ომარ ნიშნიანიძე: მთელი საქართველო მათ ხელებს ლოცავს, ვინც ბოკერია და სხვები გალახა



საპარლამენტო უმრავლესობის წევრის განცხადებით, მთელი საქართველო მათ ხელებს ლოცავს, ვინც გიგა ბოკერია და სხვები გალახა.

დეპუტატის თქმით, პირველ რიგში, იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, ვინც 2012 წელს კარალეთის ინციდენტში მონაწილეობდა და ეს ადამიანები სათანადოდ უნდა დაისაჯონ.

– 9 წლის განმავლობაში გვცემდნენ და რატომ გიკვირთ, რომ ახლა ხელი შევუბრუნოთ მათ? დროზე უნდა გალახულიყვნენ, თავის დროზე უნდა დასჯილიყვნენ და დღეს ეს არ მოხდებოდა. მოდი, ჯერ დავსაჯოთ ისინი, ვინც 2012 წელს თავები დაგვიხეთქეს ქვებით კარალეთში. თუ ერთი ადგილი ჰქონდათ, ის ხალხი დაესაჯათ. მერე დააყენონ იმის პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც ეს ბიჭები გააგზავნა სამეგრელოში და მერე კი ბატონო, ამ ბიჭებსაც ვუთხრათ, თუ გინდა ყური ავუწიოთ, მე ვიტყოდი — დავარიგოთ, რომ არჩევნების დღეს და არჩევნების პერიოდში არ შეიძლება მათი ცემა, თორემ ისე საცემები არიან, - განაცხადა ნიშნიანიძემ.

(pia.ge)

## ლევან ბერძენიშვილი: ლორთქიფანიძის პიჯაკი უფრო ძვირი ღირს, თუ მელიას ჯანმრთელობა



დეპუტატ ლევან ბერძენიშვილის განცხადებით, ის, ვინც კორცხელის ინციდენტში მიიღო მონაწილეობა, სხვა შეფასებას იმსახურებს და არა სპორტსმენობას.

„რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერის თქმით, ისინი, ვინც კორცხელის ინციდენტში მონაწილეობდა სპორტსმენები არ არიან, რადგან სპორტსმენობა ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული საქმიანობაა.

– ჩვენ გვაინტერესებს სასამართლოს დამოკიდებულება, თუ უმრავლესობის დეპუტატის პიჯაკის შეურაცხყოფა ისჯება თავისუფლების აღკვეთით, მე მაქვს კითხვა — 20 კაცის მიერ პარლამენტის წევრების, ოპოზიციური პარტიის ლიდერების ფეხქვეშ გაგება, ცემა-ტყეპა მთელი მსოფლიოს დასანახად ისჯება, თუ არ ისჯება? ლორთქიფანიძის პიჯაკი უფრო ძვირი ღირს, თუ მელიას ჯანმრთელობა? და საერთოდ, ქართველი ხალხი იმსახურებს თუ არა პატივისცემას? - აღნიშნა ბერძენიშვილმა. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# რით და როგორ დაისჯება ხელისუფლება, თუკი კორცხელის ინციდენტში მონაწილე მოჭიდავეებს არ დააკავებენ?

## რას განმარტავს ლევან ბერძენიშვილი „ალიასთან“



მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



„ინციდენტში მონაწილე პირები უნდა დაისაჯონ. დარწმუნებული ვარ, რომ დაისჯებიან. თუ სხვაგვარად იქნება, მაშინ ამით მმართველი პოლიტიკური ძალა დაისჯება“, — ეს განცხადება პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა კორცხელის ინციდენტის კომენტირებისას გააკეთა.

დასასჯელი, რომ უნდა დაისაჯოს, ამაზე არავინ არ დავობს, მაგრამ დასასჯელი მანამდეც ბევრი იყო და სწორედ მათი დაუსჯელობის, უსამართლობისა და დაუცველობის გამო ხდება დღეს ის, რაც ხდება, ესეც არაა რთული მისახვედრი, მაგრამ კაცი 4 წელია პარლამენტის თავმჯდომარეა და „ნაციონალების“ მისამართით, მათი 9-წლიანი სისხლიანი მმართველობის გამო, მსგავსი განცხადება ერთხელაც არ გაუკეთებია. პირიქით, მისი ერთ-ერთი პირველი განცხადება იყო, ჩვენი მიზანია, „ნაცმოძრაობა“, როგორც პოლიტიკური ძალა, გადავარჩინოთო. სად არის ლოგიკა, ვინც ბოკერია, მელია და თენგიზ გუნავა სცემა, მათ დასჯას მოითხოვ და ვინც 2011 წლის 26 მაისს დახოცილთა ცხედრები მაღაზიის სახურავზე შემოალაგა, ვინც 7 ნოემბერს ხალხი დააინვალიდა, იმ „ზონდერებისთვის“ ბრძანების გამცემნი 4 წელი არ გახსენებია?

„ალიას“ „რესპუბლიკელი“ ლევან ბერძენიშვილი ესაუბრა:

— ბატონო ლევან, პარლამენტის თავმჯდომარე საკმაოდ კატეგორიული იყო ამ განცხადებისას, მაგრამ, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ნაციონალებს“ უამრავი ძალადობა, მკვლელობები შერჩათ... სწორედ იმის გამო, რომ თავის დროზე თქვენმა კოალიციურმა ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მათი სათანადოდ დასჯა, რასაც საზოგადოება დღემდე აპროტესტებს და უკვე ფიზიკურად უსწორდება „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს...

– წარსულში ბევრი დანაშაული და შეცდომაა ჩადენილი, მიუხედავად ამისა, ეს ძალადობა და დანაშაული უნდა იქნეს გამოძიებული, დამნაშავეები დასჯილი და განმარტება, რომ მოჭიდავეებს დარჩათ ძველი ბოღმა და ახლა სცემენ ხალხს, ამას მე ვერასოდეს განვიხილავ. რას ნიშნავს, არ დაისაჯა „ნაციონალური მოძრაობა“? ვისი დასჯაც შეეძლოთ და იყო მასალები, ისინი დასჯილებიც არიან და ციხეშიც არიან. მაპატიეთ, მაგრამ, თუ ვინმე გულისხმობდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ყველა წევრი იქნებოდა დაპატიმრებული, ასეთი რამე შეუძლებელია, თქვენი ჭირიმე. ეს არ არის სერიოზული ლაპარაკი, რომ თითქოს ყველაფერი იმის ბრალია, რომ ყველა „ნაციონალი“ არ დაისაჯა.

— მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ მათი ლიდერები, ბრძანების გამცემებიც უნდა დასჯილიყვნენ და ბევრი გაახარა კიდეც გულის სიღრმეში იმ ფაქტმა, რომ, რაც ხელისუფლებამ ვერ გააკეთა, ვერ დასაჯა, ამ ბიჭებმა ამოიყარეს მათი ჯავრი...

– არ ვეთანხმები და ვერანაირად ვერ გავამართლებ. ძალიან ცუდია, თუ წარსულში რომელიმე დანაშაული სათანადოდ არ დაისაჯა, მაგრამ ეს ამათ არ ამართლებთ. უკაცრავად და, მოჭიდავეებს რომ ხელში რკინის კეტი ეჭირათ, იმათ რა კავშირი აქვთ წარსულთან ან მომავალთან? ისინი არიან ჩვეულებრივი ბანდიტები. სამართლიანობისთვის ბრძოლა ხდება რკინის კეტებით? ამას ამბობენ ის ადამიანები, ვინც ამ საქციელს ამართლებს და მე ვერ გავამართლებ ამ ტიპის ძალადობას, ეს შეუძლებელია. ვინც არ უნდა ჩაიდინოს. როდესაც ამას სჩადიოდნენ „ნაციონალები“, იყო დანაშაული, როცა ამას სჩადის ვინმე სხვა, არის და იქნება დანაშაული. თუ ჩემი პარტია ჩაიდენს, იქნება ჩემი პარტიის დანაშაული, თუ სხვა – ისიც დანაშაული. ვინც ამას ამართლებს, ისინიც დამნაშავეები არიან, რომ იცოდეთ.

— გასაგებია, მაგრამ ხელისუფლებას იმ ადამიანისთვის აქვს პასუხი, ვინც ამბობს, რომ მისი ცემისთვის, წამებისთვის და უკანონო დაპატიმრებისთვის კონკრეტულ ადამიანებს პასუხი არ უგიათ?

– ძალიან ცუდია, რომ სცემეს და აწამეს, ასევე, ცუდია და სამარცხვინო ფაქტია ისიც, რომ ვინც სცემა, ისინი დააწინაურეს და ჰყავთ მაღალ თანამდებობებზე.

— ბატონო ლევან, თქვენ კიდევ ხელისუფლებაში ხართ, ხომ არ გავიწყდებათ. თუ „ზონდერებს“ აწინაურებდნენ, ამოგეღოთ ხმა და შეწინააღმდეგებოდით...

– რა ბერკეტიც მაქვს, იმ ბერკეტით არ ვამართლებ ძალადობას, იმის ბერკეტი, მინისტრის მოადგილე ან მაღალი თანამდებობის პირი არ იყოს „ზონდერი“, არ მაქვს, მაპატიეთ! არც მაქვს და არც არასდროს არ მქონია. ჩემი ბრალი თუ არის ეს, მეც დამსაჯეთ, ყველა დასაჯეთ. თქვენ იცით? ვინც ურტყამდა ჩემს ძმას 2003 წლის 23 ოქტომბერს, ის ხალხი დააწინაურეს. ვინც ურტყამდა 26 მაისს ჩვენს ხალხს, ისინი იპოვეს და დააწინაურეს და მე რა ბერკეტზე მელაპარაკებით?

მე პარლამენტში ვაკონტროლებ იმ სფეროს, რომელიც შემიძლია, შსს-ს გაკონტროლება არასდროს არ შეგვეძლო. ნუ მეუბნებით, რომ ჩვენი ბრალია. კი ბატონო, ჩვენი ბრალი ყოფილა ისიც, რომ ვიღაცამ ჩაიყვანა მოჭიდავეები და აცემინა ხალხი. გავიგეთ! სასამართლომ თქვას, ვინაა დამნაშავე, ჟურნალისტები ნუ გადაწყვეტთ. სანამ არ იქნება სასამართლო, სანამ არ დააკავებენ დამნაშავეებს, სანამ არ იტყვიან, ვინ ჩაიყვანა და ვინ უბრძანა ამ დანაშაულის ჩადენა, მანამდე ეს გაგრძელდება და უარეს ფორმებს მიიღებს. მერე მეტყვიან, სად იყავი შენო?! აგერ ვარ, ბატონო, და ვაპროტესტებ, 26 მაისსაც ვაპროტესტებდი, 7 ნოემბერსაც ვაპროტესტებდი, სააკაშვილმა რომ აგენტად გამომაცხადა. და თუ კიდევ ეს ყველაფერი ჩვენი ბრალი იყო, კი ბატონო, დაგვაბრალონ, არაა პრობლემა. ჩვენ არ გვაქვს საშუალება, რომ ვაკონტროლოთ, რამდენი პარტია რამდენ „ზონდერს“ ჩაიყვანს და რას მოაწყობენ კონკრეტულ ადგილზე. პარლამენტის თავმჯდომარეს არ აქვს ამის უფლებამოსილებები. ადვილია ძალიან ამაზე ლაპარაკი, ჯერ ვინც ჩაიყვანა ეს ხალხი, ის დაიჭირონ და უსუფაშვილზე და ბერძენიშვილზე გადავიდეთ მერე. მეც მაქვს ცხოვრებაში დანაშაული, მაგალითად, არ მომწონს ზოგიერთი ქართველი პოეტი...

— ეგ დანაშაული არაა, გემოვნების საკითხია...

– როგორ არ არის, კაცო, ამის გამო დასახვრეტიაო, ეგრე წერენ. მაგრამ ამ ცემა-ტყეპასაც თუ უსუფაშვილსა და ჩვენ დაგვაბრალებდნენ, ეგ აღარ წარმომედგინა.

— ბატონო ლევან, კონკრეტულ ინციდენტს არავინ გაბრალებთ „რესპუბლიკელებს“, უბრალოდ, პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება, რომ, თუ ეს მოძალადეები არ დაისჯებიან, თავად ხელისუფლება დაისჯება, გახდა განხილვის საგანი, იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ თავის დროზე უსუფაშვილმა ბევრისთვის მოულოდნელად განაცხადა ხელისუფლების მთავარ ამოცანად „ნაციონალებისთვის“ სახის შენარჩუნებაზე, ამიტომ გაჩნდა კითხვები... უსუფაშვილმა რომ თქვა, თუ დამნაშავეები არ დაისჯებიან, მაშინ ხელისუფლება დაიჯებაო, ეს როგორ უნდა გავიგოთ, რა ფორმით დაისჯება ხელისუფლება?

– მოსამართლემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ჩვენ ვერ დავსჯიდით და ვერ ვსჯით ვერავის. თუ არ დასჯიან დამნაშავეებს, ტენდენციურ ხასიათს მიიღებს. სახლში რომ წახვალთ, თქვენც გცემენ, მეც მცემენ, ყველას გვცემენ. ხელისუფლება რით დაისჯება და თუ ახლავე ცემა-ტყეპაზე გადავა, ხმებს ვერ მიიღებს. არავის არ უნდა ხელისუფლება, რომელიც სცემს! როგორც დაისაჯა „ნაციონალური მოძრაობა“, ისე დაისჯება სხვა ყველა მოძალადე ხელისუფლება. სადაც არის ახლა ასლან აბაშიძე, ცემა-ტყეპის მომწყობი. სადაც არის ახლა მიხეილ სააკაშვილი, იქ იქნებიან ესენიც, რა პრობლემაა. მაგრამ ახლა ყველაზე სასაცილო ის არის, რომ, ვინც ამას აკეთებს, ისინი წინაურდებიან და წინ მიდიან. კიდევ ერთხელ გეუბნებით, ჩვენ ვერასოდეს ვაკონტროლებდით მაგ სფეროს, არ არის მართალი პარლამენტისკენ თითის გაშვერა. საქართველო როცა შედგება ისეთ სახელმწიფოდ, როდესაც მართლა საპარლამენტო რესპუბლიკა იქნება, მაშინ პარლამენტის წევრს, მინისტრზე მეტი ხელფასი ექნება, უკეთესი მანქანა ეყოლება და მეტი დაფასება ექნება და პასუხისმგებლობაც. საქართველოში ეს ასე არ არის, აქ მარტო ფორმალურად არის საპარლამენტო რესპუბლიკა, ამიტომ შსს-ს პარლამენტი ვერ აკონტროლებდა და ვერ გააკონტროლებს იმდენხანს, სანამ ასეთი სისტემაა.

## 26 მაისს დაბადებულებს სპეციალური დაბადების მოწმობები გადაეცემათ

26 მაისს დაბადებულ ახალშობილებს საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით დაბეჭდილი დაბადების მოწმობები გადაეცემათ. წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლისთავი საიუბილეოდ აღინიშნება. ყველა ახალშობილს, ვინც 26 მაისს დაიბადება, სპეციალურად ამ თარიღის აღსანიშნავად დაბეჭდილი დაბადების მოწმობები გადაეცემა.

ახალშობილის დაბადების მოწმობის ყდაზე დატანილია სპეციალური შინაარსის ინფორმაცია: „საქართველოს მოქალაქე დაბადებულია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლის აღმნიშვნელ საიუბილეო დღეს“. ანალოგიური მოწმობები მთელი საქართველოს მასშტაბით 2016 წლის 26 მაისს დაბადებული ახალშობილების მშობლებს გადაეცემათ. (ნიუპოსტი)

**● თქვე წუწურაქებო, ასეთი ღირსშესანიშნავი დღეა, ასეთ მაგარ ამბავს აღვნიშნავთ და მარტო „სპეციალური დაბადების მოწმობა“ რა არის, გამოყოს სახელმწიფომ თუნდაც სიმბოლური თანხა ან რამე გამორჩეული, გვარიშვილობას დაკარგავთ?!**

## „ნაციონალურმა მოძრაობამ მიგვატოვა“ - რა ბედი ელის ოპოზიციის ინიცირებულ გერმანულ მოდელს?



„ნაციონალური მოძრაობის“ მიერ საპარლამენტო საქმიანობისთვის ბოიკოტის გამოცხადებას მკვეთრად უარყოფითად აფასებს „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი დავით ბერძენიშვილი და აღნიშნავს, რომ ამ ქმედებით ენმ-მ „ქართული ოცნების“ წისქვილზე დაასხა წყალი, რადგან ბოიკოტი გამოაცხადა მაშინ, როდესაც პარლამენტში საარჩევნო სისტემის გერმანული მოდელზე მუშაობა იწყება. ამ ცვლილების მისაღებად კი „ნაციონალური მოძრაობის“ ხმები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო:

– პოლიტიკურად ძალიან არაკვალიფიციური და სახიფათო იყო „ნაციონალური მოძრაობის“ განცხადება, რომ ისინი პოლიტიკურ ბოიკოტს აცხადებენ და აქციებისთვის ქუჩაში მიდიან. თუ ასეთი აღქმა ექნებოდა კორცხელსა და ნასაკირალში მათ გამარჯვებას, ამის წარმოდგენა რთული იყო, როცა კონკურენტული გარემოს შექმნის დადასტურება მიიღეს, იმის ნაცვლად, რომ მუშაობა პარლამენტში გაეგრძელებინათ, ახლა გერმანული მოდელის საარჩევნო სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმის დროს, როცა ამ ცვლილების მიღების ალბათობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან ამ ასპარეზის მიტოვება ნიშნავს იმას, რომ მას კარგ დემოკრატიულ საარჩევნო სისტემაში, როცა ზუსტად იმდენი მანდატი გაქვს რამდენი ნდობაც, არ ნდომებია, - განაცხადა დავით ბერძენიშვილმა. (ნიუპოსტი)



## 2016 წლის ეროვნულ გამოცდებს 3000-მდე აბიტურიენტი გამოეთიშა



გამოსაშვები გამოცდები დასრულდა. უცნობია, რამდენი ჩაიჭრა საერთო ჯამში, თუმცა, როგორც შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში განმარტავენ, ეს რიცხვი შარშანდელ მონაცემს აღემატება. ეროვნულ გამოცდებზე კი 2900 აბიტურიენტი ველარ გავა.

სულ გამოსაშვებ გამოცდებზე 47 ათასამდე მოსწავლე იყო დარეგისტრირებული. მათგან ნაწილს მხოლოდ ატესტატის აღება უნდოდა, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე კი 41 600 აპირებდა გასვლას. თუმცა ახლა, გამოსაშვები გამოცდების შედეგად, გამოდის, რომ ეროვნულ გამოცდებზე დაახლოებით 38 ათასი აბიტურიენტიღა გავა.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ჯერჯერობით ვერც თითოეულ საგნებში ჩაჭრილთა ზუსტ ოდენობას ასახელებს, თუმცა, მათ მიერ გამოქვეყნებული პროცენტების მიხედვით **EDU.ARIS.GE**-მ გამოითვალა, რომ პირველ გამოცდაზე, ქართულში, სადაც 37 900-ზე მეტი აპლიკანტი იყო, 98 პროცენტმა ზღვარი წარმატებით გადალახა. ანუ, დაახლოებით 37 ათასმა გამოცდა ჩააბარა, 900 კი — ჩაიჭრა.

რაც შეეხება ისტორიას, ტესტირებაზე 42 ათასამდე მოსწავლე გამოცხადდა, ზღვარი წარმატებით მონაწილეთა 95 პროცენტზე მეტმა დაძლია. ანუ, 39 ათასზე მეტმა გამოცდა ჩააბარა, დაახლოებით 2 ათასი — ჩაიჭრა.

უცხო ენის გამოცდაზე კი 43 ათასამდე მოსწავლე მივიდა. მათგან ზღვარი წარმატებით მონაწილეთა დაახლოებით 85 პროცენტმა გადალახა (ზღვრის გადასალახად მოსწავლეს სწორი პასუხი დაახლოებით 15 კითხვაზე უნდა გაეცა). ანუ, უცხო ენაში ბარიერი დაახლოებით 36 ათასმა დაძლია, დაახლოებით 6 500 კი — ჩაიჭრა.

საკმაოდ რთული სურათი მივიღეთ მათემატიკის გამოცდების შედეგებითაც, სადაც 42 700-ზე მეტი აპლიკანტიდან ზღვარი წარმატებით მონაწილეთა 86 პროცენტზე მეტმა (36 ათასზე მეტი) გადალახა, 5 ათასზე მეტი კი ჩაიჭრა.

რაც შეეხება ქიმიის გამოცდას, მას 5 ათასზე მეტი აბარებდა და დაახლოებით 90 პროცენტმა (4 500) ბარიერი დაძლია. ანუ, გამოდის, რომ დაახლოებით 500 მოსწავლე ჩაიჭრა. (edu.aris.ge)

## „მოვუწოდებ ხელისუფლებას პასუხი აგებინოს დამნაშავეებს“ - ევროპარლამენტში ხურჩისა და კორცხელის მოვლენებს ეხმაურებიან



კორცხელის მოვლენებსა და ხურჩაში რუსეთის საოკუპაციო ძალების სამხედროს მიერ საქართველოს მოქალაქის მკვლელობას ბრიუსელიდან ევროპარლამენტარები ეხმაურებიან. უსაფრთხოებისა და თავდაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე ანა ფოტიგა შეშფოთებას გამოთქვამს მომხდარის გამო და საქართველოს ხელისუფლებას მომხდარის დროულად გამოძიებისკენ მოუწოდებს.

– შეშფოთებული ვარ საქართველოში ბოლოდროინდელი მოვლენების გამო, რომლებიც დაემთხვა ევროპარლამენტის უსაფრთხოებისა და თავდაცვის ქვეკომიტეტის დელეგაციის ვიზიტს. ბოლო ვიზიტის დროს მე დადებითი შეფასება მივეცი ქვეყნის მზაობას, მიიღოს ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი, ქართული ჯარის მოდერნიზებას და მისი მზადყოფნის დონეს ნატოსთან თანამშრომლობისთვის და ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის საერთო პოლიტიკის მისიებში მონაწილეობის მისაღებად. ასევე, მაღალი შეფასება მივეცი საქართველოში **EUMM**-ის მისიას. მიმაჩნია და ამის შესახებ განვაცხადე უსაფრთხოებისა და თავდაცვის ქვეკომიტეტის ვიზიტის დროს, რომ საქართველოს მოქალაქეებმა უნდა მიიღონ ვიზა ლიბერალიზაცია. თუმცა, ვიზიტის ბოლოს ძალზედ შემაშფოთებელი ინციდენტი მოხდა აფხაზეთის გამყოფ ხაზზე, როდესაც არსებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს მოქალაქე მოკლეს აფხაზმა „მესაზღვრეებმა“. მკაცრად ვგმობ ამ დანაშაულს და მოვუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას, გამოიძიოს და პასუხი აგებინოს დამნაშავეებს. გარდა მაგისა, ქართული მედიის ინფორმაციის თანახმად, 22 მაისს მოხდა სასტიკი თავდასხმა ოპოზიციის წარმომადგენლებზე ზუგდიდის ადგილობრივი შუალედური არჩევნების დროს, რის ორგანიზებაშიც ადანაშაულებენ ადგილობრივი პოლიციის უფროსს. ქართული მედიის თანახმად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებსა და დეპუტატებს გაუსწორდა თავდამსხმელთა კარგად ორგანიზებული ჯგუფი, პოლიციის ადგილზე ყოფნის მიუხედავად. მოვუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას, დროულად და ეფექტიანად გამოიძიოს ძალადობის ეს აქტი, პასუხი აგებინოს დამნაშავეებს და საჯაროდ დაგმოს მათი ქმედებები. (ნიუპოსტი)

## საბი ბერიანის მკვლელობის საქმეზე სააპელაციო სასამართლომ განაჩენი გამოაცხადა



2016 წლის 25 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოში ტრანსგენდერი ქალის, საბი ბერიანის მკვლელობის საქმეზე განაჩენი გამოაცხადა და ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, რომლის თანახმადაც საბი ბერიანის მკვლელობაში ლევან კოჭლაშვილი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი.

2014 წლის 10 ნოემბერს პეკინის ქუჩაზე ურთიერთშელაპარაკების დროს წარმოქმნილი კონფლიქტისას, ლევან კოჭლაშვილმა განზრახ მოკვლის მიზნით, დანით მიაყენა სასიკვდილო ჭრილობები ამავე მისამართზე მცხოვრებ საბი ბერიანს, რომელიც მიყენებული დაზიანებების გამო შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, ლევან კოჭლაშვილმა აღნიშნულ ბინაში განზრახ გააჩინა ხანძარი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

2015 წლის 7 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ საბი ბერიანის მკვლელობაში ბრალდებული ლევან კოჭლაშვილი ნაწილობრივ გაამართლა. განაჩენის თანახმად, ლევან კოჭლაშვილი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი საბი ბერიანის მკვლელობაში, ხოლო დამნაშავედ იქნა ცნობილი ბიანკა შიგუროვას ცემასა და ხანძრის განზრახ გაჩენაში. საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში პროკურატურამ გაასაჩივრა.

2016 წლის 4 თებერვალს, საბი ბერიანის საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმე, ტრანსგენდერი ქალი, ბიანკა შიგუროვა საკუთარ საცხოვრებელ ბინაში გაზის გაჟონვის შედეგად, ინტოქსიკაციით გარდაცვლილი იპოვეს.

ბიანკა შიგურვას საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტრო სსკ-ის 115-ე -თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით იძიებს. (ნიუპოსტი)

## ტელეკომპანია „იმედის“ საქმეზე ჟურნალისტი ლევან ჯავახიშვილი დაიკითხა

ტელეკომპანია „იმედის“ საქმეზე ჟურნალისტი ლევან ჯავახიშვილი დაიკითხა. ჯავახიშვილმა 2007 წლის 7 ნოემბერს ტელეკომპანიაში სპეცრაზმის შეჭრის და დარბევის დეტალები გაიხსენა.

ჟურნალისტის განცხადებით, „ქრონიკის“ მთავარ გამოშვებას უძღვებოდა, როდესაც რეჟისორმა სპეცრაზმის შეჭრის შესახებ აცნობა, წამყვანების ადგილას გიორგი თარგამაძე შევიდა და პირდაპირ ეთერში დაჯდა, თავად კი საეთეროში შევიდა.

– საეთეროში სპეცრაზმელმა მომადო იარაღი და მეუბნებოდა, ხმის პულტი გამომერთო. მე ვუთხარი, რომ გამორთვა არ ვიცოდი, რის შემდეგაც ხმის პულტს ავტომატის ტარი ჩაარტყა და გატეხა. გამოგვიყვანეს როგორც ტყვეები და ტელევიზიის პირველ სართულზე ვნახე სცენა, რომელიც მხოლოდ ფილმებში მინახავს. მძღოლები, ჟურნალისტები, ტელევიზიის თანამშრომლები მიწაზე დაწვენილი. დაწოლა აიძულეს დიანა ტრაპაიძესაც, რომელიც 9 თვის ორსული იყო, - განაცხადა ჯავახიშვილმა.

როგორც იგი ჰყვება, ტელეკომპანიის შენობის დატოვების შემდეგაც სპეცრაზმელები მისდევდნენ, საბოლოოდ ოჯახის წევრებმა მიაკითხეს და ავტომანქანით წაიყვანეს.

შეგახსენებთ, რომ „იმედის“ საქმეზე ბრალდებულები არიან: მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ადეიშვილი, გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი და დავით კეზერაშვილი. **(kvira.ge)**

## პარლამენტში ისევ იჩხუბეს — მეტი რა საქმე აქვთ, რო?!

პარლამენტში დეპუტატ ზაზა პაპუაშვილის მიერ გაკეთებულ მოწოდებას, რომ დეპუტატებს 2011 წლის 26 მაისს დაღუპულთა ხსოვნისთვის პატივი წუთიერი დუმილით მიეგოთ, დაპირპისირება მოჰყვა.

ზაზა პაპუაშვილის მოწოდებას არ აჰყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები, რამაც უმრავლესობის გაღიზიანება გამოიწვია, რაც შემდგომში ფიზიკურ დაპირპისრებაში გადაიზარდა.

დეპუტატმა ზურაბ ზვიადაურმა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც ის პარლამენტის თავმჯდომარემ დარბაზიდან გააძევა.

– ყველას გვახსოვს 2011 წლის 26 მაისი რა შავ დილად გაუთენა ქვეყანას „ნაციონალურ-ბოლშევიკურმა მოძრაობამ“ და მისმა ლიდერმა, აქედან გაქცეულმა სხვა ქვეყნის მოქალაქემ. გთხოვთ, ვინც ხართ 26 მაისი მონაწილენი და ვინც არ ხართ, ყველამ პატივი მივაგოთ იმ დღეს გარდაცვლილ ადამიანებს და არა მარტო იმ დღეს, ყველას, ვისაც ამ 9 წლის განმავლობაში ჯანმყრთელობა დაკარგა, ვინც გარდაცვლილია, წამოვუდგეთ ერთი წუთით ფეხზე და ამით პროტესტი გამოვუცხადოთ იმას, რაც ჩაიდინეს 2011 წლის 26 მაისს, - განაცხაზა ზაზა პაპუაშვილმა. სწორედ ამ განცხადებას მოჰყვა პარლამენტში სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება. **(pia.ge)**

# ზურაბ ჯორბენაძე: „ბიძინა ივანიშვილს რომ ჰგონია, ირაკლი შოთაძე მის თამაშს თამაშობს, არ არის ეს ასე, რეალურად, ძირს უთხრის მას და მის მთავრობას“

## რა ხდება პრკურატურის კულუარებში?



დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**რა ხდება პროკურატურაში მას შემდეგ, რაც ე.წ. „კაბელების საქმეზე“ ბრალდებულებს განაჩენი გამოუტანეს? რა საქმეებზე უნდა მოეთხოვათ პასუხი ირაკლი ალასანიასთვის? რა თამაშს თამაშობს მთავარი პროკურორი?**

**„ალიას“ ადვოკატი ზურაბ ჯორბენაძე ესაუბრა:**

– მინდა ე.წ. კაბელების საქმეს გამოვეხმაურო. მე, როგორც სამართალმცოდნე, ვთვლი, რომ „კაბელების საქმეში“, ძალიან ბევრი უდანაშაულო ადამიანი იხდის სასჯელს და თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ შოთაძე არ არის საქართველოს პროკურორი, ის გახლავთ კერძო პროკურორი და ვისიც, ამას დიდი ფიქრი არ უნდა. ამ ადამიანმა იცის, რომ იურიდიული დასაბუთების გარეშე გამოიტანეს განაჩენი, მაგრამ ის ამაზე თვალს ხუჭავს. ამბობენ, პროკურატურის ხელით ირაკლი ალასანიაზე განხორციელდა პოლიტიკური შურისძიებაო და ამ დროს, ირაკლი ალასანიას, თავის მხრივ, იმდენი რამე აქვს გაფუჭებული თავდაცვის სამინისტროში მუშაობის დროს, თუ ვინმეს მასზე შურისძიება უნდოდა, ის უნდა მიეცათ პასუხისგებაში ამ დანაშაულებების გამო და არა ეს უდანაშაულო ბიჭები.

**— რას გულისხმობთ, რა დანაშაულები აქვს ასეთი ჩადენილი ირაკლი ალასანიას თავდაცვის მინისტრობის დროს?**

– უამრავი რამაა ასეთი... ერთ ელემენტარულ მაგალითს მოვიყვან – მაგალითად, ძალიან მარტივად შეეძლოთ, ირაკლი ალასანიასთვის პასუხი მოეთხოვათ იმისთვის, რომ უკანონო თვალთვალისა და მიყურადების საქმეში მონაწილე თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლები, მთელი აპარატი, თანამდებობებზე დატოვა და ეს დამნაშავეები ირგვლივ შემოიკრიბა – დაწყებული ზაზა მჭედლიძით, გაგრძელებული გოგა მაისურაძით და დასრულებული ვაჟა ლელუაშვილით, რომელიც თავის დროზე მე გამაცნეს, როგორც დავით მეტრეველი. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც თავის დროზე ახალაიასა და ქარდავას დავალებით მონაწილეობდნენ უკანონო მოსმენასა და თვალთვალში. ასევე, უნდა მოეთხოვათ პასუხი იმისთვის, როგორ გაურიგდა ახალაიებს და როგორ დაუთმო დეპუტატობა. აი, ესენი არავინ მოჰკითხა მას, რაც მართლა მოსაკითხი იყო. სამაგიეროდ, მართლა უდანაშაულო ბიჭები მოაყოლეს ამ პოლიტიკურ ანგარიშსწორებაში და ეს არის დამღუპველი ქვეყნისთვის.

ახლა პროკურატურაში ამ საქმეზე სიმშვიდეა. ბიძინა ივანიშვილს რომ ჰგონია, ირაკლი შოთაძე მის თამაშს თამაშობს – არ არის ეს ასე, რეალურად. დღეს ირაკლი შოთაძე ძირს უთხრის ივანიშვილს და მის მთავრობას.

**— როგორ?**

– ყველა ის საქმე, რომელიც შოთაძის მიერ იკერება ბიძინა ივანიშვილის საამებლად, სინამდვილეში ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ დასამარებას ემსახურება. შოთაძის მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი წყალს ასხამს „ნაციონალების“ წისქვილზე და ეს ყველაფერი ოქტომბერში დასრულდება ძალიან ცუდად. არ აკეთებს შოთაძე ბიძინა ივანიშვილის საქმეს, მაგრამ ვაი, რომ არ ესმით.

**— რით უთხრის შოთაძე ივანიშვილს ძირს?**

– ამ ეტაპზე პროკურატურას სჭირს „ადეიშვილის დაავადება“. „არაფერი მესმის, ვერაფერს ვხედავ“ – ასე ჰქვია ამ დაავადებას. ჩაკეტილები არიან პროკურორები თავიანთ კაბინეტებში, „არაფერი ესმით“ და „ვერაფერს ხედავენ“. მათ აქვთ გამოცდილება, როგორ შეიძლება ეპატიოს ყველაფერი, ყველა პროკურორსა და მოსამართლეს. კარგად იციან, რომ წამხდარი მოსამართლეები და პროკურორები მაშინაც სჭირდებოდათ და ამიერიდანაც დასჭირდებათ სხვა ხელისუფლებებს. შესაბამისად, არიან მშვიდად. დავით ბაქრაძე რომ ამბობს – პოლიტიკური მძევლები არიან და ყველას ყველაფერს გაპატიებთო, რა გგონიათ, რას გულისხმობს? ესენი ხომ შურის საძიებლად აპირებენ ხელისუფლებაში მოსვლას და მაშინ ხომ დასჭირდებათ ადამიანები, რომლებიც ამ დაჭერებს განახორციელებენ მათი სურვილების თანახმად? პრეცედენტი დაუშვა „ქართულმა ოცნებამ“ და დღეს დაიმედებული არიან. დაიჭირეს უდანაშაულო ადამიანები და ელოდებიან მიტევებას.

სწორედ ამ ყველაფერმა, დაუსჯელობის სინდრომმა განაპირობა ის, რაც სამეგრელოში მოხდა არჩევნების დროს. დღეს საპარლამენტო უმრავლესობის წევრები გამოდიან და ამბობენ, რომ ის ჩხუბი „ნაციონალების“ მხრიდან წამოსული პროვოცირების შედეგად მოხდა. პროვოკატორები რომ არიან, ამაზე არ ვდაობთ, მაგრამ როგორ აძლევს ვინმე თავს იმის უფლებას, რომ გამოვიდეს და თქვას, ძალისმიერი მეთოდებით მინდა არჩევნების ბედის გადაწყვეტაო. საშინელი სანახავი იყო, როცა პოლიცია იდგა და მშვიდად უყურებდა, როგორ სცემდნენ ადამიანები ერთმანეთს. რა მნიშვნელობა აქვს, „ნაცია“ თუ „ქოცი“? მანდ გამოიკვეთა სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა – რაც სისხლის სამართლის დანაშაულია.

თუ გიგა ბოკერიას დასჯა უნდოდათ, დაესაჯათ, რა, არ იყო დასასჯელი? თუ ვერ იპოვეს, რა აქვს დაშავებული? რატომ ელოდებოდნენ არჩევნებს მაინცდამაინც? 4 წელი არ იყო საკმარისი, რომ ბრალი წაეყენებინათ და პასუხისგებაში მიეცათ? დაესაჯათ მელიაც. რა, ვერც მას უპოვეს ვერაფერი? მარტო სააღსრულებო დეპარტამენტში მუშაობის დროს და გამგებლობის დროს რამდენი სისულელე აქვს ჩადენილი – ეს საქმეები ამოეგდოთ. ან თენგიზ გუნავა ავიღოთ, სასაცილოა, ამ ადამიას რომ ვერაფერი დაუმტკიცეს. და ამ ყველაფრის მერე რომ ამ ადამიანებს ქუჩაში სცემ, რაც არ უნდა საცემები ყოფილიყვნენ, გამოდის, რომ აჯობეს ამათ.

დასაგმობია ნებისმიერი ადამიანის ცემა, მით უმეტეს არჩევნების დღეს, მაგრამ უამრავი ორგანიზაცია და პოლიტიკოსი, რომლებიც გამოდიან და გმობენ ამ ყველაფერს, არიან ძალიან სასაცილო მდგომარეობაში. იმედია, ეჭვი არავის ეპარება, რომ ისინი „ნაციონალების“ დაქირავებულები არიან, ჩვეულებრივი აგენტები. მეც ვიყავი მაჟორიტარობის კანდიდატი საგარეჯოში, მეც მცემეს, მაგრამ გამოიძია ვინმემ რამე? ელემენტარული პასუხიც კი არ გაუციათ ამ დრომდე.

იმის ნაცვლად, რომ ამდენი პრობლემა არსებობს და მათი მოგვარებით იყვნენ დაკავებული, წინასაარჩევნოდ სისხლის სამართლის კანონში ცვლილებების შეტანით არიან გატაცებული. ჯერ რაც გვაქვს კანონი, იმას არ იყენებენ. მერე კიდევ, ჩვენ გვაქვს გამოცდილება, რომ, როდესაც „ნაციონალები“ ამკაცრებდნენ კანონს და ამბობდნენ, ეს პრევენციისთვის გვჭირდებაო, რეალურად, ამის შედეგად იჭერდნენ უფრო მეტ ხალხს. პრევენცია არ არის კანონის გამკაცრება, პრევენცია იქნება, როცა, რაც კანონში გიწერია, იმას გამოიყენებ სწორად. პრობლემა ისაა, რომ, თუკი ეს ცვლილებები მართლა შეიტანეს კანონში, ამ ყველაფერს გამოიყენებენ ოპოზიციური პარტიების საწინააღმდეგოდ და ამაში ეჭვი, ალბათ, არავის შეეპარება, მით უმეტეს, არსებული პროკურატურის ხელში.

## გლდანის ციხის ყოფილი ჯალათი მიუნსტერის ციხეში ქართველმა პატიმრებმა სასტიკად სცემეს



**როგორც გერმანიაში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ, გრიგოლ კელენჯერიძემ შეგვატყობინა, მიუნსტერის ციხეში, მალაზიის ქურდობისთვის დაჭერილი ერთ-ერთი ქართველი პატიმარი სხვა ქართველმა პატიმრებმა სასტიკად სცემეს, ვინაიდან მასში გლდანის ციხის ყოფილი თანამშრომელი და ჯალათი ამოიცნეს.**

**— ბატონო გრიგოლ, ვინ არის ეს ადამიანი და რატომ მოხვდა ციხეში?**

– წვრილმანი ქურდობისთვის იხდიდა სასჯელს. ერთი კვირის წინ მიუყვანიათ მიუნსტერის ციხეზე სხვა ციხიდან და ჩვეულებრივად, ქართველებთან მოხვდა. ამ დროს ერთ-ერთი პატიმარი, ოქროს უბნელი გიორგიც იქ იხდის 3-თვიან სასჯელს. ამ გიორგიმ ამოიცნო მასში გლდანის ციხის ოფიცერი „პალაჩი". ცემაში ყველა ქართველმა პატიმარმა მიიღო მონაწილეობა. რომ არა გერმანელი თანამშრომლები, ალბათ, მოკლავდნენ. ჰოსპიტალშია გადაყვანილი. 22 ნაკერი მარტო სახეზე აქვს, ძვლები დამტვრეული....

**— ქართველ პატიმრებს სასჯელი დაუმძიმდებათ?**

– თვითონ ეს გიორგი ჰყავდათ კარცერში, მაგრამ ეხლა ჩვეულებრივადაა. „პალაჩმა" არ იჩივლა ჯერჯერობით. რამოდენიმე ქართველი დაშალეს და სხვაგან გადაიყვანეს, სხვა ციხეებზე. ისე, აქ ყველამ იცის, რომ ციხის ჯალათებს სადაც ნახავენ, გაამწარებენ. ჩემს ქალაქში არის ერთი ოჯახი და აღმოჩნდა, რომ მისი ქმარიც გლდანში მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ ვერავინ ადებს ხელს როგორც „პალაჩს", გარეთ გამოსვლა აკრძალული აქვს და სახლშია ჩაკეტილი. როგორც კი გამოვა, მწარედ გალახავენ.

**— გამოდის, რომ ყველაზე უსაფრთხოდ საქართველოში არიან. აქ მათზე ნადირობა ნამდვილად არ არის.**

– მეც მასე მგონია. აქ ნებისმიერი რომ გაიშიფროს, რომ იმ 9 წლის განმავლობაში პენიტენციურ სისტემაში მუშაობდა, მერწმუნეთ, მაგრად სცემენ, თუ არ შემოაკვდათ... საბერძნეთში მცხოვრებ ახალგაზრდებსაც მოუწოდებენ, რომ ანალოგიურად იმოქმედონ დათა ახალაიას მიმართ, რომელიც პოლიციაში ცხადდება და გარეთ დადის. ე.წ. „პრაგონი" გაკეთდა, რომ იმოქმედონ მასზე.

**— „პრაგონი" რას ნიშნავს?**

– უკაცრავად ჟარგონისთვის. „პრაგონი" ნიშნავს „ყველას, ყველას, ყველას", ანუ მოუწოდებენ, რომ გადასცენ ერთმანეთს. (postalioni.com)

## თარგამაძე: „ქართული ოცნების" კრებითი სახეა თოფაძე



„ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატი გივი თარგამაძე მიიჩნევს, რომ „მრეწველების"ლიდერი გოგი თოფაძე „ქართული ოცნების" პოზიციას გამოხატავს.

იგი თოფაძის მიერ ხურჩაში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა. შეგახსენებთ, გოგი თოფაძე, არ ფიქრობს, რომ საოკუპაციო ხაზთან მომხდარი მკვლელობის პოლიტიზება უნდა მოხდეს, რადგან „ასეთი შემთხვევები ყველგან ხდება".

– სინამდვილეში, ეს არის „ქართული ოცნების" პოზიცია, სინამდვილეში, ასე იქცევა ხელისუფლება, ამ განცხადების შესაბამისად. კვლავ იქნება შეხვედრა კარასინი-აბაშიძის ფორმატში, ყველაფერი გაგრძელდება ისევ ისე, ისევ ისეთი დათმობებით რუსული მხარის მიმართ. აქედან გამომდინარე, კრებითი სახეა თოფაძე, - განაცხადა თარგამაძემ. (news.ge)

## ე.წ. კანონიერ ქურდს „გია გალსკის" რუსეთიდან გამოაძევებენ



კრიმინალურ ავტორიტეტ გიორგი ზარანდიას, მეტსახელად „გია გალსკის", სამშობლოში გააძევებენ, - ამის შესახებ რუსული მედიის ინფორმაციით, გადაწყვეტილება მოსკოვის ხოროშევის რაიონულმა სასამართლომ მიიღო.

36 წლის გიორგი ზარანდია 23 მაისს მოსკოვში დააკავეს. ჩხრეკისას სამართალდამცველებმა გიორგი ზურაბოვის სახელზე ყალბი პასპორტი აღმოაჩინეს.

ამჟამად „კანონიერი ქურდი" დროებით იზოლატორში იმყოფება. გაძევებამდე მან რუსეთში უცხო ქვეყნის მოქალაქეების ყოფნის წესების დარღვევისთვის 5 ათასი რუბლის ჯარიმა უნდა გადაიხადოს. (ინტერპრესნიუსი)

## პოროშენკომ სავჩენკო „ოქროს ვარსკვლავით" დააჯილდოვა



უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ ნადეჟდა სავჩენკო, რომელიც რუსეთის ციხიდან 25 მაისს გაათავისუფლეს, „ოქროს ვარსკვლავის" ორდენით დააჯილდოვა.

უკრაინელი მფრინავი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მივიდა, სადაც პრეზიდენტთან ერთად ჟურნალისტების წინაშე სიტყვით გამოვიდა. სავჩენკომ ოჯახის წევრებს მადლობა გადაუხადა.

– ასეთი და რომ არ მყავდეს, ახლა მკვდარი ვიქნებოდი. არ მინდა, რომ ადამიანებს ომი სურდეთ, მაგრამ სამწუხაროდ, მშვიდობის მიღწევა მხოლოდ ომითაა შესაძლებელი. ბოდიშს ვიხდი იმისთვის, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, მაგრამ ყოველთვის მზად ვარ, უკრაინისთვის გამარჯვებამდე ვიბრძოლო, - განაცხადა სავჩენკომ.

უკრაინის პრეზიდენტმა მსოფლიო ლიდერებს ნადეჟდა სავჩენკოს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა:

– როგორც ნადეჟდა სავჩენკო დავიბრუნეთ, ისე დავიბრუნებთ დონბასსა და ყირიმს, - განაცხადა პოროშენკომ.

უკრაინელი მფრინავი, რომელსაც რუსეთში 22-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, სამშობლოში პრეზიდენტის თვითმფრინავით დაბრუნდა. სავჩენკო დონის როსტოვის აეროპორტში ორ რუს სამხედროში — ევგენი ეროფეევსა და ალექსანდრე ალექსანდროვში გაცვალეს. (kvira.ge)

## კახა კალაძე ხურჩაში მოკლული გიგა ოთხოზორიას ოჯახს 20 ათასი ლარით დაეხმარება



ხურჩაში მოკლული გიგა ოთხოზორიას მეგობრის განცხადებით, ზუგდიდში ოჯახის წევრებთან პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე და გუბერნატორი იყვნენ ჩასულები. მისი თქმით, კახა კალაძე ოჯახს ფინანსურ დახმარებას დაჰპირდა.

– კახა კალაძე ოჯახს 20 ათასი ლარით დაეხმარება. ამასთან, ოჯახს ფინანსურად ადგილობრივი რაიონის გამგეობაც დაეხმარა. დევნილთა სამინისტრო საცხოვრებელი ფართის მოგვარებას დაჰპირდა. ფიზიკური პირები ინდივიდუალურად ეხმარებიან ოჯახს. ადგილობრივი რაიონის გამგეობამ 10 ათასი გადმოურიცხა დაკრძალვის ხარჯებისათვის, — აცხადებს ოთხოზორიას მეგობარი. (pia.ge)

## „ყველამ წაიკითხეთ!!! იყავით ფრთხილად და კარგად შეამოწმეთ ხოლმე ვის ეხმარებით"



სცენარისტი აკა სინჯიკაშვილი, რომელიც ფართო საზოგადოებამ არა მხოლოდ მისი მხიარული „ფეისბუკპოსტებით", არამედ იმითაც გაიცნო, რომ მშიერი ხალხი დასახმარებლად ღამით „ტაქსაობს" და მოგროვილი ფულით გაჭირვებული ადამიანებისთვის ტანსაცმელსა და საკვებს ყიდულობს, „ფეისბუკზე" საყურადღებო სტატუსს აქვეყნებს.

სინჯიკაშვილის თქმით, არსებობენ ჯგუფები, რომლებიც ვითომ საქველმოქმედო მიზნებით ტანსაცმელს, საკვებსა და ფულს აგროვებენ და ამით პირად სარგებელს ნახულობენ:

– ყველამ წაიკითხეთ!!! ეხლა მოგიყვებით ეს ორი დღე რას ვარკვევდი: არსებობენ ადამიანები, რომლებიც ჯგუფად მუშაობენ და ფულსაც ბევრს შოულობენ. მაგალითად, ჯერ გაკვირდებიან აქტიურობ თუ არა საქველმოქმედო ფეიჯებზე. მერე ერთი გწერს, რომ მეზობელი ან ახლობელი ქალია და დახმარება სჭირდება. დათანხმდები დახმარებაზე და მართლა გეუბნება რაღაცა მისამართს. მიდიხარ, მიგაქვს საჭმელი და ტანსაცმელი. მშრალი პროდუქტები იმდენი უგროვდებათ, ვაგზალზე აბარებენ. ტანსაცმელი კი თურმე უკვე ძალიან ბევრი იყიდება მეორად მაღაზიებში. ბევრჯერ გამოაგზავნინეს ფული სხვა ქვეყნებიდანაც.

მეორე ამბავია ფოტოებიანი ყუთებით რომ დადიან ვითომ ვილაცის გადასარჩენად, 80 პროცენტ შემთხვევაში არც ერთი კაპიკი არ მიდის ფოტოზე გამოსახულ ადამიანთან. „გუგლის" პასუხით, ერთი საერთოდ მექსიკელი აღმოჩნდა, რომელმაც არ იცის, რომ საქართველოში ფულს უგროვებენ. ეხლა გასაგებია, ვინც მლანძღავს ხოლმე და რატომ მწარდებიან.

ძალიან ბევრ ადამიანს უჭირს და სხვები ფულს შოულობენ ამით. ამას კანონი ვერ ერევა და თაღლითობაც არ გამოდის, უბრალოდ, იყავით ფრთხილად და კარგად შეამოწმეთ ხოლმე, ვის ეხმარებით, - წერს აკა სინჯიკაშვილი. (ნიუპოსტი)

## ლუკა კურტანიძე: სპორტსმენები „ნაციონალური მოძრაობის" პროვოკაციას წამოეგნენ



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ლუკა კურტანიძე სამართალდამცველებს კორცხელის ინციდენტზე „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერების, მათ შორის, გიგა ბოკერიასა და ნიკა მელიას დაკითხვისკენ მოუწოდებს.

როგორც კურტანიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, სპორტსმენები სწორედ „ნაციონალური მოძრაობის" პროვოკაციას წამოეგნენ. კურტანიძემ 2011 წლის 26 მაისის მოვლენებიც გაიხსენა და აღნიშნა, რომ ძალადობა დღეს „ინერციით მიმდინარეობს".

– როდესაც 26 მაისს ვახსენებთ, პირველი დღიდან მოვუწოდებდით „ნაციონალურ მოძრაობას", რომ ხალხისგან, რომელზეც იძალადეს, შენდობა ეთხოვათ, თითოეულ რეპრესირებულ ადამიანთან მისულიყვნენ და შეიძლება, ის პატიება მიეღოთ, რომელსაც დღესაც ელოდება სრულიად საქართველო. 26 მაისს თქვენ დახოცეთ ადამიანები, იძალადეთ, შეურაცხყოფა მიაყენეთ... დღესაც ფეხზე არ წამოდექით გარდაცვლილი ადამიანების საპატივსაცემოდ.

ხერხეულიძემ თქვა, რომ ის მიდის პარლამენტიდან, ძალიან კარგი, თქვენ საერთოდ არ უნდა ყოფილიყავით პარლამენტში, იმდენი სისხლი დაღვარეთ. ის ძალადობა, რომელიც დღეს ინერციით მიმდინარეობს, თქვენი დაბადებულია. თქვენ მოიტანეთ ეს შუღლი და გააჩინეთ ის უფსკრული, რომელიც თქვენსა და ჩვენს შორის არის და კიდევ არ აღიარებთ დანაშაულს, - განაცხადა კურტანიძემ. (ინტერპრესნიუსი)

● **შენდობა „ნაცმოძრაობამ" უკანალში გაიკეთოს! ხალხს მაგათი ბოდიშები კი არა, დასჯა უნდოდა, დასჯა! ახლა რაც არ უნდა ბევრი ილაპარაკოთ გინდ იქით და გინდ აქეთ, ყველა ერთნაირად უნამუსოდ მოიქეცით და ხალხი მოატყუეთ!**

## მარჩენალს ჩააკითხეს...



„ნაციონალური მოძრაობის" წევრები დავით კირკიტაძე და რომან გოცირიძე, რომელიც პარტიის საარჩევნო სიის ათეულშია, ოდესაში იმყოფებიან. ინფორმაციასა და ფოტომასალას „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე დავით კირკიტაძე ავრცელებს:

– დეტალური განხილვა „რუსთავის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის" პროექტის, დამატებით არაერთი გრანდიოზული პროექტი რუსთავისათვის ადამიანისაგან, რომელსაც ყველაზე პოზიტიური გამოცდილება აქვს და არა მხოლოდ საქართველოში, - წერს კირკიტაძე. (პირველი რადიო)

● **ოჰოჰოჰოჰო!!! ვაზელინიც ბლომად ექნებათ წაღებული ამათ, ისეთი პირი უჩანს!**

ეთერ ბალაძე
593 15-64-47



**არასამთავრობო ორგანიზაციები სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის გადადგომას მოითხოვენ. მათი განცხადებით, ომბუდსმენი მხოლოდ სექსუალური და რელიგიური უმცირესობის ინტერესებს იცავს, სხვა ადამიანების და უმთავრესად, მართლმადიდებლების უფლებებს კი არღვევს, ამიტომაც ის არ უნდა იყოს სახალხო დამცველი.**

**„ალია“ უფლებადამცველ მამუკა ტუსკაძეს ესაუბრა:**

# მამუკა ტუსკაძე: „უჩა ნანუაშვილი მხოლოდ სექტანტების ინტერესების დამცველია, რადგან ის მორმონების სექტის წევრია“

## რას აცხადებენ ომბუდსმენის ოფისში







– სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი არ იცავს საქართველოს მოქალაქეების ინტერესებს, ის მხოლოდ სექტანტების ინტერესების დამცველია, რადგან ის მორმონების სექტის წევრია, ეს გახლავთ საკმაოდ გავლენიანი სექტა ამერიკაში. გამომდინარე აქედან, ნანუაშვილი სექტებს უჭერს მხარს. ის ცდილობს, საქართველოში მორმონების სექტის ფუნქცია და როლი გაზარდოს... მაგალითად, განათლების რეფორმაში მონაწილეობს და ცდილობს, სკოლის სასწავლო პროგრამაში შეატანინოს ისეთი საგნები, რომელიც მორალურად და ზნეობრივად ხრწნის ახალგაზრდებს.

**— რაზე დაყრდნობით აცხადებთ, რომ უჩა ნანუაშვილი მორმონების სექტის წევრია?**

– გვაქვს უტყუარი ინფორმაცია, მორმონების საიტზე საქართველოს წარმომადგენელი არის უჩა ნანუაშვილი, ამიტომაც დაინიშნა ის სახალხო დამცველის პოსტზე. მისი ბედი საქართველოს პარლამენტში კი არა, ამერიკაში გადაწყდა. ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენიც მორმონების სექტის წევრია, მათ საკმაოდ დიდი გავლენა აქვთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ისინი ამ სექტას ლობირებენ. სწორედ ასეთი ლობირების შედეგად დაინიშნა ნანუაშვილი სახალხო დამცველის თანამდებობაზე. ამიტომაც ვითხოვთ სახალხო დამცველის გადადგომას. ის არ უნდა იცავდეს მხოლოდ ვიწრო ჯგუფის ინტერესებს, უჩა ნანუაშვილი გახლავთ ყველაზე მეტად მართლმადიდებელი ადამიანების უფლებების დამრღვევი და ამ დროს მას ჰქვია სახალხო დამცველი... ომბუდსმენი არღვევს სხვის უფლებებს, ცდილობს, უმცირესობის მხრიდან უმრავლესობაზე დისკრიმინაცია მოახდინოს. უჩა ნანუაშვილს უნდა ეყოს ვაჟკაცობა, გადადგეს და გააგრძელოს მოღვაწეობა, როგორც სექტის ლიდერმა, ან უბრალოდ უფლებადამცველმა. ასევე, ვურჩევ, ნიღაბი მოიხსნას და ღიად დააფუძნოს მორმონთა წარმომადგენლობა, ამას არავინ არ უშლის. ამასთანავე, თქვას, რომ ის არის მორმონი, ხოლო მისი ლობისტები ამერიკელები არიან. სხვა ქვეყნებში მოღვაწე გავლენიანი პირები და მათი სექტა ცდილობს, რომ მხარი დაუჭიროს და განავითაროს სექტა, მოსპონ და გაამარგინალონ მართლმადიდებლური რელიგია.

**— განაცხადებთ, ნანუაშვილი განათლებაში გარკვეული საგნების შეტანას ლობირებსო. რომელ საგანს გულისხმობთ?**

– ეს არის ახალი საგანი „მე და საზოგადოება“.

**— ამ საგნის შეტანა აიკრძალაო, ამბობენ?**

– არ აკრძალულა, ახლა ცდილობენ მასში ცვლილებების შეტანას, მაგრამ ამ ეტაპზე მათთვის მთავარია, როგორმე ჯერ საგანი შეიტანონ და მერე ცვლილებები... საგნის შეტანაზე განათლების სამინისტროს უარი არ უთქვამს, საგანი დამკვიდრდება მცირეოდენი ხარვეზებით. ეს არის ბავშვების სექსუალური აღზრდა, რომელიც განსაკუთრებით დაწყებითი სკოლის მოსწავლეებზე ახდენს ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას. ბავშვის ფსიქოლოგია ამ ასაკში ხომ არ არის მზად, ასეთ რაღაცებს მოუსმინოს და აღიქვას. ეს ეხება ინტიმურ თემებს. საზოგადოების წინააღმდეგობის შედეგად, ამ ეტაპზე გადაწყვიტეს, რომ ამ თემების გარეშე „მე და საზოგადოება“ სკოლებში ასწავლონ. მთავარია, რომ ეს წიგნი დარჩა სკოლაში და ისწავლება, მერე რას ჩაამატებენ, არავინ იცის.

**— ნანუაშვილი სექსუალური უმცირესობების ინტერესებსაც აქტიურად იცავს, ესეც ამერიკის დავალებით ხდება?**

– რა თქმა უნდა, მორმონები დალესის თეორიის მიმდევრები არიან, რაც ყველანაირ ეროვნულ ტრადიციებს ეწინააღმდეგება და მათ შორისაა ნანუაშვილიც. ამიტომაც ისინი მის ნაანდერძევს ახორციელებენ.

**— რაო, რა დაიბარა?**

– მორმონების ლიდერის ანდერძი – ეს არის სექსუალური უმცირესობის დაცვა. დალესის ერთ-ერთმა მიმდევარმა, მაიკლ სვიფტმა გამოაქვეყნა მემორანდუმი, სადაც ნათლად ასახა, რას აპირებენ. იქ წერია: „თუ თქვენ გაბედავთ და ჩვენ გვიწოდებთ გეებს ან პიდარასტებს, მაშინ ჩვენ განვგმირავთ თქვენს მხდალ გულებს და წავბილწავთ თქვენს უბადრუკ სხეულებსო...“ საშინელი რაღაცები წერია, გამაიმუნებული და გაუკუღმართებულია ყველაფერი... მართლა მეორედ მოსვლისკენ მიდის სიტუაცია და ამას ხელს უწყობენ ისეთი ადამიანები, როგორიც ჩვენი „უფლებადამცველი“ ნანუაშვილია.

**— ნანუაშვილის გადადგომა კი მოითხოვეთ, მაგრამ გამოგივათ რამე? რომ არ გადადგეს, რას აპირებთ?**

– უნდა გადადგეს, ხელმოწერებს შევაგროვებთ და მოვითხოვთ უჩა ნანუაშვილის იმპიჩმენტს. საკმარისი რაოდენობის ხელმოწერების შეგროვების შემდეგ, პარლამენტში მისი გადაყენების საკითხს დავაყენებთ. ის არის ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი ინტერესების გამტარებელი და ადამიანების უფლებების დამრღვევი, ამიტომაც მას მორალური უფლება არ აქვს, სახალხო დამცველი ერქვას.

**„ალია“ კომენტარისთვის სახალხო დამცველის პრესსამსახურს, ანი თამაზაშვილს დაუკავშირდა:**

– ყოველდღე რეკავთ და გვეკითხებით, არის თუ არა უჩა ნანუაშვილი სექტის წევრი. ამაზე ხომ გავაკეთეთ კომენტარი, რომ არ არის...

**— რესპონდენტი მეუბნება და კომენტარზე არ უნდა დამერეკა?**

– საიდან მოიგონეს, ხომ გითხარით, რომ არ არის?

**— უფლებადამცველები უჩა ნანუაშვილის გადადგომას რომ მოითხოვენ, ამაზე რას იტყვით?**

– ბატონი უჩა პოსტის დატოვებას არ აპირებს, რადგანაც სახალხო დამცველი უმრავლესობისა და უმცირესობის უფლებების ერთნაირად დამცველია...

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. სახელმწიფო აზიაში
2. წინაღობის შებრუნ. სიდიდე
3. ერაყის დედაქალაქი
4. ქალაქი ესპანეთში
5. მსახიობი ჯულია ...
6. მწერალი აკაკი ...
7. საიუველირო ქვა
8. გარგანტუა და ...
9. მარტინ სკორსეზეს ფილმი
10. რუს მეფეთა დინასტია
11. ნივთიერება. გამოიყოფა ორგანიზმში შიშის დროს
12. სიტყვა, რომელიც შედგენილია სხვა სიტყვების პირველი ასოებისაგან
13. დროშა
14. „სამი მუშკეტერი“ პერსონაჟი
15. მსახიობი ... დე ვიტო
16. რაჯ კაპური ფილმში
17. შტატი აშშ-ში
18. მგალობელი ფრინველი
19. ქალაქი იტალიაში
20. ამერიკული თოჯინა
21. თავის უკანა ნაწილი
22. სოფელი ოზურგეთ. რაიონში
23. მსახ. ... ბერიკაშვილი
24. ქალაქი რუსეთში
25. თენგიზ აბულაძის ფილმი
26. თონის გრძელი პური
27. სინთეზური მასალა ბალიშში
28. შოტლანდიის დედაქალაქი
29. თხის ძვირფასი ბეწვი
30. სასიმინდე
31. ... ფოიხტვანგერი
32. სოფელი რაჭაში
33. აბატი ფარიას ციხე
34. ქიმიური ჭურჭელი
35. შტატი აშშ-ში
36. მტაცებელი ფრინველის ფრჩხილი
37. მხატვარი ავთო ...
38. ლონდონის ცენტრი
39. ანდრეი ტარკოვსკის ფილმი (სტრუგაცკების მიხედვით)
40. ზაფხულის თვე
41. ვაზის საყრდენი ჯოხი
42. თოვლის კაცი
43. მხატვარი ... გრეკო
44. შენობა. ჭრიან მონეტებს
45. კარგი ამინდი
46. ზურგის ტვინის ნერვთა ფესვების ანთება
47. დეკორატიული მცენარე
48. „ტრავიატა“ პერსონაჟი
49. მეფე არტურის პირველი რაინდი
50. სამკურნალო მცენარე
51. ბედი
52. ზღვის ცხოველი ხვეტიანი ცხვირით
53. ფრინველის სამყვედვი
54. „ბეჭდების მბრძანებელი“ ავტორი
55. ნაგვის ყუთი
56. წიგნაკი მოსახევი ფურცლებით
57. მდ. სანკტ-პეტერბურგში
58. შხამიანი გველი
59. ყვავილი
60. ბოჭკოვანი მცენარე
61. ცვარი
62. მკვდარი ცხოველის სხეული
63. კახეთის მეფე ... მეორე
64. ლენონის ქვრივი
65. უდაბნო პერუში
66. შოკოლადის ბატონი არაქისით
67. ვულკანის ყელი
68. დიეგო არმანდო ...
69. მომღერალი სელინ ...
70. ლიტვური ფულის ერთეული
71. ძაღლის ნაშიერი
72. რიცხვი ექვსი ნულით
73. სიმსივნის ფორმა
74. მომღერალი ... მეტონიძე
75. მუსლიმანური მარხვა
76. ტრიგონომეტრიული ფუნქცია
77. ზედაპირიდან ასხლეტვა
78. მუსიკალური გასართობი
79. მდინარე აღმ. საქართ.
80. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
81. პატარა არხი
82. სანთლის მასალა
83. გადაშენებული ფრინველი
84. კარგად მოარული ცხენი
85. შინაური თხის წინაპარი
86. მეფის ქალიშვილი
87. პირის ნაცვალსახელი
88. მხ/ფ „ჩვენი ...“
89. იაპონური პულტიპლიკაცია
90. მუსიკალ. ინტერვალი
91. ხმლის ტარი
92. ამ ზღვაშია კუნძული სახალინი
93. მეფე ძველ ეგვიპტეში
94. ამერიკელი მომღერალი ქალი
95. ნიშნავს ცხოველურს
96. იაპონური არაყი
97. ..., დუდუკი, ქალები
98. თეთრგვარდიელი გენერალი
99. მსახიობი ... ჟირარდო
100. კომპოზიტორი იმრე ...
101. მდინარე პარიზში
102. იტალიის კუნძული
103. ინგლისური ლუდი
104. წლოვანება
105. მხ/ფ „არ აცადინო ...“
106. ხის ჯიში
107. საწოლის ატრიბუტი
108. პური ლობიოს გულით
109. დედამიწის გუმბათი
110. პირველი, ..., მესამე
111. ამერიკელების მეტსახელი
112. მსახიობი ... პაპასი
113. მომღერალი დაიანა ...
114. მდინარე გერმანიაში
115. მწერალი ... ტოლსტოი
116. მწერალი თომას ...
117. მსახიობი ... კლოუზი
118. მომღერალი ... ბადურაშვილი
119. ქალაქი ჩეხეთში
120. ქიმიური ელემენტი
121. გიორგი საავადის სოფელი
122. გოგოლის მოთხრობა





პასუხები: 1. ბანგლადეში; 2. მო; 3. ბაღდადი; 4. ბარსელონა; 5. რობერტსი; 6. ბელიაშვილი; 7. ქარვა; 8. პანტაგრუელი; 9. „ავიატორი“; 10. რიურიკი; 11. ადრენალინი; 12. აბრევიატურა; 13. ალამი; 14. დარტანიანი; 15. დენი; 16. „ავარა“; 17. ნევადა; 18. იადონი; 19. გენუა; 20. ბარბი; 21. კეფა; 22. ნასაკირალი; 23. გივი; 24. როსტოვი; 25. „ვედრება“; 26. შოთი; 27. სინტიფონი; 28. ედინბურგი; 29. ანგორა; 30. ნალია; 31. ლიონ; 32. ირი; 33. იფი; 34. კოლბა; 35. აიოვა; 36. ირაო; 37. ვარაზი; 38. სიტი; 39. „სტალკერი“; 40. ივლისი; 41. ჭიგო; 42. იეტი; 43. ელ; 44. ზარაფხანა; 45. დარი; 46. რადიკულიტი; 47. ფიკუსი; 48. ვიოლეტა; 49. ლანსელოტი; 50. ჟენშენი; 51. სვე; 52. ნარვალი; 53. გალია; 54. ტოლკინი; 55. ურნა; 56. ბლოკნოტი; 57. ნევა; 58. ეფა; 59. ია; 60. სელი; 61. ნამი; 62. ლეში; 63. ერეკლე; 64. ონო; 65. ნასკა; 66. „სნიკერსი“; 67. კრატერი; 68. მარადონა; 69. დიონი; 70. ლიტი; 71. ლეკვი; 72. მილიონი; 73. კისტა; 74. ნატო; 75. რამაზანი; 76. ტანგენსი; 77. რიკოშეტი; 78. კარაოკე; 79. ლიახვი; 80. მისისიპი; 81. რუ; 82. სტეარინი; 83. მოა; 84. იორღა; 85. ნიამორი; 86. პრინცესა; 87. მე; 88. ეზო; 89. ანიმე; 90. კვარტა; 91. ვადა; 92. ოხოტი; 93. ფარაონი; 94. ენია; 95. ზოო; 96. საკე; 97. ღვინო; 98. ვრანგელი; 99. ანი; 100. კალმანი; 101. სენა; 102. სიცილია; 103. ელი; 104. ასაკი; 105. ასუნტა; 106. ცაცხვი; 107. ლეიბი; 108. ლობიანი; 109. ცა; 110. მეორე; 111. იანკი; 112. ირენ; 113. როსი; 114. რაინი; 115. ლევ; 116. მანი; 117. გლენ; 118. ნინი; 119. ბრნო; 120. იოდი; 121. ნოსტე; 122. „ვიი“. იკითხება: ნიღაბი. მაკიაჟი. მანიკიური.

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## მსოფლიოში პირველმა შვიდმა ტყუპმა სკოლა დაამთავრა



აშშ-ში მაკოჰის ოჯახის მსოფლიოში პირველმა შვიდმა ტყუპმა სკოლა დაამთავრა. უცხოური მედიის ინფორმაციით, მაკოჰის ოჯახი აიოვადან 1997 წელს გახდა ცნობილი. ეს მსოფლიოში პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მშობიარობისას 7 ტყუპი გადარჩა.

ალექსისი, ბრენდონი, ჯოელი, კელსი, კენი უმცროსი, ნატალი და ნატანი ვადაზე 9 კვირით ადრე დაიბადნენ და დაახლოებით 450 გრამს იწონიდნენ. სკოლის დამთავრების შემდეგ ბავშვებს მისურის ჰანიბალ-ლაგრანჯის უნივერსიტეტში სრული სტიპენდიები შესთავაზეს. სწავლას მაკოჰის ოჯახიდან ყველა ბავშვი არ განაგრძობს. ბრენდონი ჯარში მსახურს, კელსი კი მუსიკალური კარიერის აწყობას გეგმავს. აღსანიშნავია, რომ 7 ტყუპს ერთი წლით უფროსი დაც ჰყავთ.

**plus.kvira.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ძიძამ 1 წლის ბავშვს სასტიკად სცემა



ამერიკელ წყვილს – ჯოშუა მარბერისა და ალისია კვინს საკუთარ თავზე მოუწიათ სასამართლო სისტემის უდიდესი მინუსების გამოცდა. ერთხელ, როდესაც მათ საღამოს ერთად გატარება გადაწყვიტეს, 1 წლის ვაჟი ჯეიკობი ძიძასთან დატოვეს.

როდესაც სახლში მოვიდნენ, ჯეიკობი ტიროდა, მას სახე და ტანი დალურჯებული ჰქონდა, ძიძას კი, უბრალოდ, ეძინა. აღშფოთებულმა მშობლებმა დაუყოვნებლივ პოლიცია გამოიძახეს და ძიძას სასამართლოში უჩივლეს.

რაც შემდეგ მოხდა, კიდევ უფრო აღმაშფოთებელია. სასამართლომ ვერ იპოვა საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ ძიძა დაესაჯათ. თურმე, კანონის თანახმად, მსუბუქი ტრავმების მიყენებისას დასჯა მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც თავად მსხვერპლი ადასტურებს ამას. ჯეიკობი კი მხოლოდ ერთი წლისაა და ლაპარაკიც არ შეუძლია. აღშფოთებულმა დედამ ნაცემი შვილის ფოტო ინტერნეტში გამოაქვეყნა და დეტალურად აღწერა მოვლენები. საბედნიეროდ, მოინახა იურისტების ჯგუფი, რომელმაც კანონში ცვლილებების შესატანი პროექტის მზადება დაიწყო.

**plus.kvira.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ჩინურ ბაზრებში უშვილობის სამკურნალოდ, ცხოველების გამხმარი სასქესო ორგანოები იყიდება



ჩინურ ხალხურ მედიცინაში ხშირად შეხვდებით კონკრეტული დაავადებების განკურნების უცნაურ მეთოდებს, მცენარეების გამხმარი ფესვებით დაწყებული ბაყაყის ნაყენებით დამთავრებული.

თუმცა ეს არაფერია. ჩინური ხალხური მედიცინა, მკურნალობას ცხოველების გამხმარი სასქესო ორგანოებით გვთავაზობს. ხალხში გავრცელებული მოსაზრებით, მამაკაცებში ეს აძლიერებს იმუნიტეტს, აღადგენს ძალებსა და კურნავს უშვილობას.

როგორც აღმოჩნდა, ქალაქ ბოჟუში ტრადიციული მედიცინის პროდუქტების უდიდესი ბაზარია, სადაც ძაღლების, ცხენებისა და ვირების სასქესო ორგანოები იყიდება.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროდუქცია ბაზარში დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი, თუმცა უცნობია, რა გზით შოულობენ მას.

**newposts.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## უმა თურმანმა კოცნა 196 000 დოლარად გაყიდა



ჰოლივუდის ვარსკვლავმა უმა თურმანმა აუქციონზე კოცნა 196 ათას დოლარად გაყიდა.

კვენტინ ტარანტინოს მუზის კოცნა საქველმოქმედო ღონისძიებაზე იტალიელმა ბიზნესმენმა ლაპო ელკანმა იყიდა.

გაყიდული კოცნით მიღებული თანხა, მსახიობმა შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციას გადასცა.

**newposts.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## 91 დარტყმა მათრახით სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ვიდეოსთვის და ფოტოსთვის!



ირანი – ეს ის ქვეყანაა, რომელზეც ბევრი რამ უცნობია. ის, რაც საზოგადოებისთვის ამ ქვეყნის შესახებ ხდება ცნობილი, ხანდახან შოკისმომგვრელიც კი არის, ვინც სულ სხვა კანონებით ცხოვრობს.

ირანში არსებობს უამრავი აკრძალვა, რომელიც ადამიანების მიერ მაინც ირღვევა. მაგალითად, ბევრი მოდელი და ბლოგერი დაისაჯა იმისთვის, რომ „დასავლური გახსნილობის პროპაგანდას“ ეწეოდა. ეს კი ირანში დაუშვებელია. დაკავებები ირანში ოპერაციის ფარგლებში კოდური დასახელებით „ობობა-2“ განხორციელდა. ეს ოპერაცია ირანის მოსახლეობის შორის „ინსტაგრამის“ მომხმარებელთა წინააღმდეგ იყო მიმართული. ოპერაციის მიმდინარეობისას საქმე სისხლის სამართლის 21-ე მუხლით აღიძრა. ერთ-ერთი მთავარი ბრალდება – ჰიჯაბის გარეშე ფოტოების გამოქვეყნება იყო. დაპატიმრებულთა შორის „ინსტაგრამის“ ადგილობრივი მომხმარებლები და მოდელები – მელიკა ზამანი, ნილუფარ ბეჰბუდი, დონია მოგადამი, დანა ნიკი, შაბნამ მოლავი, ელნაზ გოლროჰი და ჰამიდ ფადაეი აღმოჩნდნენ. ჰამიდ ფადაეი ჰიჯაბს არ უნდა ატარებდეს, თუმცა მისი ფოტოები ზედმეტად გლამურულად მიიჩნიეს და ამიტომ დააპატიმრეს. თეირანის პოლიციაში ნაციონალური დრესკოდის დარღვევასთან ბრძოლის საქმეში დაახლოებით 7000 აგენტი მუშაობს. მოდელებთან ბრძოლა – ეს ადგილობრივი სამართალდამცავების მხოლოდ ერთ-ერთი



აქციაა. მაგალითად, 2014 წელს ირანელი გოგონებისა და ბიჭების ჯგუფი ფარელ უილიამსის სიმღერაზე ცეკვავდა. მას შემდეგ, რაც ამ ცეკვის ამსახველი ვიდეორგოლი ინტერნეტში მოხვდა, ყველა, ვინც ამ „ბაქქანალიაში“ მონაწილეობდა, დააპატიმრეს. საზოგადოებისა და თავად შემსრულებლის – ფარელ უილიამსის მხრიდან უკმაყოფილების მიუხედავად, დაპატიმრებულებს პირობითად ნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა და მათრახით 91 დარტყმა მიუსაჯეს.

**plus.kvira.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## წელს „მის ბუმბუმის“ კონკურსში 50 წელს ზემოთ ასაკის ქალებიც ჩაერთვებიან



ჯერ სილამაზის სტანდარტების დადგენა და მერე ამ სტანდარტებზე ადამიანების მორგება რაა და კიდევ ერთ-ერთ მთავარ სტანდარტად ასაკის მიჩნევა. თურმე, თუ 18-დან 30 წლამდე არ ხარ, არ შეიძლება ლამაზი და მიმზიდველი იყო და არ შეიძლება სხეულის კარგი ფორმები გქონდეს.

ჰოდა, ბრაზილია ადგა და სტერეოტიპების წინააღმდეგ წავიდა – წლევანდელ კონკურსში, რომელსაც „მის ბუმბუმი“ ეწოდება (მის უკანალი) და დამეთანხმებით, სწორედ ბრაზილიაში უნდა ტარდებოდეს, მონაწილეობის მიღება 50 წელს ზემოთ ასაკის მქონე ქალებსაც შეეძლებათ.

კონკურსის ერთ-ერთი მონაწილის ტერეზინია ისენის თქმით, კონკურსისთვის სხვადასხვა ხერხებით ემზადება, დაკავებულია ფიტნესით და კოსმეტიკურ პროცედურებსაც იყენებს (მაგალითად, ვაკუუმის მასაჟი).

„მე ერთ-ერთი მათგანი არ ვარ, რომლებსაც მოშვებული კანი აქვთ, ყველაფერი თავის ადგილზე მაქვს“, – განაცხადა ქალაქ სალვადორის მცხოვრებმა. თურმე, თავის ახალგაზრდობაში ქალაქის ყველაზე ლამაზ გოგოდ ითვლებოდა. გათხოვების შემდეგ კი, ქმარი აიძულებდა მისი მთელი რესურსი ოჯახსა და შვილებზე დახარჯულიყო და სილამაზის კონკურსში მონაწილეობის მირების უფლებას არ აძლევდა.

ქმარი 21 წლის წინათ გარდაეცვალა, ასე რომ, შეუძლია, ოცნება აიხდინოს და თავისი სილამაზე ყველას აჩვენოს.

„ყველას უნდა დავუმტკიცო, რომ არაფერი შეცვლილა და ძველებურად მიმზიდველი ვარ“, – ამბობს ტერეზა.

**lenta.ru**

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე 593 19-85-99**

## იუმორი



სიტუაცია ბაზარში.
– ეს შავი მოცხარია?
– არა, წითელია.
– აბა, თეთრი რატომაა?
– იმიტომ, რომ ჯერ მწვანეა.

*****

– შენ რა, დებილად მთვლი, თუ რაშია საქმე?
– ნუ იბღინძები, დებილამდე შენ კიდე გაზრდა გინდა.

*****



– შენ რაზე დაგიჭირეს?
– რატომ და ერთხელაც აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო ისეთივე ბანკნოტებს ბეჭდავდა, როგორსაც მე.

*****

– რატომ გაშორდი ცოლს?
– რატომ და სექსის გამო.
– ვერ გავიგე, ხშირად არ გამოგდიოდათ?
– არა, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას გამოგვდიოდა.

*****



– გუშინ შენმა ძაღლმა მიკბინა ფეხზე.
– კარგი ერთი, ნუ ნერვიულობ, აცრილია ჩემი ძაღლი და შენგან არაფერი გადაედება.

*****

– ლამარა, სიმაღლე რამდენი გაქვს?
– 145.
– პატარა პრინცესა ყოფილხარ.
– და წონაში რამდენი ხარ?
– ციფრებით თუ ვიმსჯელებთ, უფრო ნაკლები – 128.

*****

შეკითხვაზე „ახლა სად ხარ?“ – გაბრაზებული, დაღლილი, მაგრამ კულტურული პროქტოლოგი ყოველთვის პასუხობს, – სამსახურში!..

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## შაკიკის საწინააღმდეგო წამლები ბავშვებისთვის საშიშია




– საფრთხის წინაშე დგება ბავშვის ინტელექტუალური შესაძლებლობები, – ასეთია ამერიკელი სპეციალისტების მოულოდნელი და ძალიან არასასიამოვნო ინფორმაცია.

საუბარია იმაზე, რომ, როცა ფეხმძიმე ქალები შაკიკის საწინააღმდეგო წამლებს იღებენ, ამით შვილებს საკმაოდ სერიოზული რისკის წინაშე აყენებენ.

სპეციალისტების განმარტებით, ასეთ მედიკამენტებში მთავარი ნივთიერება ვალპროის მჟავაა, რომელსაც არაერთი უკუჩვენება აქვს.

თავის ტკივილები მშვენიერი სქესის უდიდეს ნაწილს ძალიან ხშირად აწუხებს, რასაც თან ერთვის გულისრევა და სხვა უსიამოვნო მოვლენები.

ის, რომ ვალპროის მჟავა ინტელექტზე უარყოფითად მოქმედებს, ჯერ კიდევ 2009 წელს დამტკიცდა, ახლა კი მეცნიერებმა ისიც დაადასტურეს, რომ ამ ნივთიერების შემცველი წამალი გავლენას ნაყოფზეც ახდენს.

*woman.ru*

## გამელოტებისგან გადარჩენაში საკუთარი სისხლი დაგეხმარებათ



სამწუხაროდ, გამელოტება არა მხოლოდ მამაკაცების, არამედ მშვენიერი სქესის ძალიან დიდი პრობლემაა, რომელიც თანამედროვე მეცნიერებამაც კი ვერაფრით მოაგვარა.

ებრაელ მეცნიერებს თუ დავუჯერებთ, უსიამოვნებასთან შებრძოლება პაციენტის სისხლის დახმარებით შეიძლება.

ცნობილია, რომ საკითხზე მუშაობისას, სწავლულებმა სპეციალურად გადამუშავებული სისხლის საფუძველზე ხსნარი მიიღეს. შემდეგ სითხე აპარატში მოათავსეს, რომელიც თრომბოციტებით გამდიდრებულ პლაზმას გამოყოფდა. დასასრულ, მიღებული სითხე უკვე პაციენტის კანქვეშ შეიყვანეს. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა – ინექციის ადგილზე თმების ამოსვლის პროცესი მალევე აღდგა.

სიახლის ავტორების განმარტებით, ინექცია კანქვეშ განთავსებული ღეროვანი უჯრედების სტიმულირებას ახდენს, რასაც სასურველი შედეგი აუცილებლად მოჰყვება.

ჯერჯერობით კვლევები ამ საკითხთან დაკავშირებით არ დასრულებულა, თუმცა პირველადი შედეგები მართლაც დიდ იმედებს იძლევა.

*myjane.ru*

## რამდენად ეფექტურია წყლის ფილტრები?



– ის ფილტრები, რომელსაც ცივილიზებული მსოფლიო იყენებს, შეუძლებელია, სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესებას ახერხებდეს. ასეთ არცთუ სასიამოვნო დასკვნამდე ამერიკელი ეკოლოგები მივიდნენ.

მათი განმარტებით, წყალი ბუნებრივ საცავებში იმდენად არის დაბინძურებული, რომ დიდია ალბათობა, ფილტრმა მისი გაწმენდა, უბრალოდ, ვერ შეძლოს.

თავის მხრივ, წყლის დაბინძურებას ეკოლოგები კლიმატისა და ტემპერატურის მკვეთრ ცვლილებებს უკავშირებენ.

ექსპერტების აზრით, ამ ორი მიზეზის გამო მოხდა წყალსაცავებში ბიოლოგიური პროცესების ცვლილება და შესაბამისად, წყლის ხარისხის გაუარესება.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ ვერც ბოთლის წყლის სმაზე და ვერც ულტრათანამედროვე ფილტრების გამოყენებაზე გადასვლა სიტუაციას ვერ გამოასწორებს.

*pronowosti.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**26 მაისი:** დღეს ფორტუნა მანამდე არ გაგეკარებათ ახლოს, სანამ არ ინებებთ და საქმიანობის განწყობაზე არ დადგებით. კამათს და კონფლიქტებს ერიდეთ.

**კურო 22.04-21.05**
**26 მაისი:** ბევრ ისეთ რამეს, თანაც ისე ადვილად გააკეთებთ, რასაც სხვები წარმოუდგენლად ჩათვლიან. რა თქმა უნდა, ამაზე დიდ ენერგიას დახარჯავთ, მაგრამ მათ ეს არ ეცოდინებათ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**26 მაისი:** დიდი ალბათობით, მოხდება ისეთი რამ, რაც სადღესასწაულო განწყობაზე დაგაყენებთ. საწყენი იქნება, თუ ამ წარმატებას არ აღნიშნავთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**26 მაისი:** დღეს რაღაც მნიშვნელოვან საქმეში მთელი მონდომებითა და ენერგიით ჩაერთვებით და მასში ჩართავთ ყველას, ვინც ხელში მოგხვდებათ. თავს გაუფრთხილდით, არ „გადაიწვათ“.

**ლომი 23.07-22.08**
**26 მაისი:** საკმაოდ სერიოზულ წინადადებას შემოგთავაზებენ და თქვენი პასუხი გადამწყვეტი იქნება. ამიტომ, კარგად დაფიქრდით, გიღირთ თუ არა.

**ქალწული 23.08-22.09**
**26 მაისი:** საყოველთაო ქცევის ნორმებს იგნორირებას ნუ გაუკეთებთ და სალაპარაკო არავის მისცეთ. დიდია შანსი, რაღაც შეგეშალოთ და საქილიკოდ გაიხადოთ თავი.

**სასწორი 23.09-22.10**
**26 მაისი:** როგორც ჩანს, ძალიან უცნაური იქნებით, მაგრამ ამას გარშემომყოფები ჩვეულებრივად მიიღებენ. მეტიც, დიდი ალბათობით, ქათინაურებით აგავსებენ.

**მორიელი 23.10-21.11**
**26 მაისი:** სავარაუდოდ, მოხდება ამბები, რომლებიც დიდ გაურკვევლობაში ჩაგაგდებთ. დასკვნის გამოტანა დიდ დროს წაგართმევთ, მაგრამ სწორ პასუხს იპოვით.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**26 მაისი:** მოვლენების განვითარება თქვენს სურვილებზე ნაკლებად იქნება დამოკიდებული. ამიტომ, უმჯობესია, ფეხი შეუწყოთ, ვიდრე დაუპირისპირდეთ, მაინც ვერაფერს შეცვლით.

**თხის რქა 22.12-19.01**
**26 მაისი:** შანსი გაქვთ, რაღაც გარიგებაში მიიღოთ ბევრად მეტი, ვიდრე ამას პირობები ითვალისწინებს. მაქსიმალურად შეეცადეთ, შეუვალი იყოთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**26 მაისი:** რაც არ უნდა გააკეთოთ, სამწუხაროდ, არასერიოზული აღმოჩნდება. ამიტომ, უმჯობესია, ისეთი საქმე გამონახოთ, რომელიც დიდად არ გადაგღლით.

**თევზები 19.02-20.03**
**26 მაისი:** შესაძლოა, დღეს ძალიან რთული, მაგრამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების ზღვარზე აღმოჩნდეთ. სანამ გადაწყვეტთ, ყველაფერი კიდევ ერთხელ, კარგად გაიაზრეთ.

**გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

## პლაგიატიის ბრალდებით, ერთხელ... კომპიუტერს უჩივლეს

1993 წელს სკოტ ფრენჩმა საინტერესო პროექტი წამოიწყო, რისთვისაც 40-ათასიანი დაფინანსებაც მიიღო. პროექტი კომპიუტერის შექმნას ითვალისწინებდა, რომლის მთავარი ფუნქცია მწერალ ჟაკლინ სიუზანის წერის სტილის გაანალიზება უნდა ყოფილიყო.


ჟაკლინ სიუზანი

სკოტ ფრენჩმა სამუშაოს 8 წელი მოანდომა, რის შემდეგაც მანქანას ჰქონდა ყველანაირი მონაცემი და უკვე შესაძლებელი გახდა, ჟაკლინ სიუზანის სტილის მიხედვით ახალი რომანი დაწერილიყო.

სულ მალე დღის სინათლე იხილა რომანმა, სახელწოდებით „მხოლოდ ერთხელ“, რომელიც კომპიუტერ „მაკინტოშ II სიიქს“-ის მიერ იყო დაწერილი.

მართალია, რომანმა მკითხველში არც ისე დიდი მოწონება დაიმსახურა, მაგრამ, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ავტორი მანქანა იყო, შედეგი ნამდვილად გადასარევი გახლდათ.

ყველაფრის მიუხედავად, კომპიუტერის ავტორობით დაწერილი წიგნი 35 ათას ეგზემპლარად გაიყიდა, რის შემდეგაც ჟაკლინ სიუზანმა სკოტ ფრენჩს სასამართლოში უჩივლა და ის პლაგიატში დაადანაშაულა.

საქმე ძალიან გართულდა, რადგან, ფაქტობრივად, წიგნი მოპარული არ ყოფილა და ერთადერთი, რაშიც ფრენჩმა და მისმა კომპიუტერმა შესცოდეს, მწერლის სტილის სრული იმიტირება იყო.

საბოლოო ჯამში, ფრენჩმა და სიუზანმა ყველაფერი პირადი შეხვედრებით მოაგვარეს, რადგან კანონი საავტორო უფლებებზე ასეთ სიტუაციებს არ ითვალისწინებდა და სასამართლომ, უბრალოდ, არ იცოდა, როგორი განაჩენი გამოეტანა.

*kp.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



მთვრალმა უშანგიმ ქუჩაში კატა იპოვა, შეეცოდა და სახლში მიიყვანა, კართან ცოლი დახვდა.

– აი, ეს ნამდვილი აფთარია.

– რას ამბობ, უშანგი, ეს ხომ ჩვეულებრივი კატაა?

– გაჩუმდი, ქალო, შენ, მე კატას ველაპარაკები.

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**გაზეთი „ალია“**

გამოდის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (110)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 110)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, D-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 01.35